# ...არად პარტიასთან. მარად ხალხთან ერთად!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავი

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
შაბათი
19
დეკემბერი
№ 291
(18233)
ფასი 2 კაპ.

„...ჩემი სიცოცხლის ყოველი დღე განუყოფელია იმ საქმეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ჩვენი კომუნისტური პარტია, ჩვენი საბჭოთა ქვეყანა".

Л. Брежнев

# ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

...ირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

...ეს, როცა სამოცდათხუთმეტი წელი შეგისრულდათ თქვენ, ...ს ამხანაგსა და მეგობარს, უგულითადესად მოგესალმებით ...მხურვალედ გილოცავთ სამშობლოს მაღალ ჯილდოს.

...ენი ქვეყნის საბჭოთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნიშან...ები თქვენი ბიოგრაფიის ნიშანსვეტებიც არის. კოლექტივი...ია, ინდუსტრიალიზაცია, სოციალიზმის საფუძვლების შექმნა ...ველა ამ დიად, სიახლით არნახულ საქმეში არის ლენინუ...სკოლის კომუნისტის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარჯის ...ი. ჯერ კიდევ მაშინ გამოვლინდა თქვენი, როგორც გამორჩე...ი პოლიტიკური ხელმძღვანელის, ნიჭი, მთლიანად შეიცანით ...რული შრომაც. ომის პირველი ტრაგიკული დღიდან გამა...ების სახელოვან დღემდე იმყოფებოდით მოქმედი არმიის ...ებში, გმირულად იბრძოდით ჰიტლერელი დამპყრობლების ...ალმდეგ. თქვენი ცხოვრების გზის სახელოვანი ეტაპები გახ...სახალხო მეურნეობის აღორძინებაში მონაწილეობა, ლეგენ...ული ყამირის ეპოპეა, მსოფლიოში პირველი კოსმოსური ...ევის ორგანიზაცია, სხვა დიდი მიღწევები.

...მოცი წლის წინათ დაიწყო თქვენი შრომითი მოღვა...ა. აი უკვე ორმოცდაათი წელია თქვენ კომუნისტური პარ...ს რიგებში ხართ. და მართლაც რომ სამართლიანია თქვენი ...ყვები: „...ჩემი სიცოცხლის ყოველი დღე განუყოფელია იმ ...ეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ჩვე... კომუნისტური პარტია, ჩვენი საბჭოთა ქვეყანა".

...ქვენ, საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილი, მუდამ გამოირ...დით მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვით. ყოველი საკით...მიღმა თქვენ ხედავთ ადამიანთა ინტერესებს და ამას სხვებ...ასწავლით.

...ქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, ფლობთ იმის ხელოვნებას, რომ ...თიანებდეთ ადამიანებს, ერთსულოვანი კოლექტიური მუშაო...თვის განაწყობდეთ მათ. თქვენ მომადლებული გაქვთ იშვი... ნიჭი ხედავდეთ თითოეული ამხანაგის უნარს, პოულობდეთ ... საუკეთესო გამოყენების გზებს.

...ა თუ იმ პრობლემას რომ წყვეტთ, ყოველთვის გაურბიხართ ...ქნის აჩქარებას, ცდილობთ ჩასწვდეთ საქმის არსს. ღრმა ...ურობას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებისადმი ერთგულებას ...მებთ შეურიგებლობას ყოველგვარ ჩამორჩენილობასთან, უძ...ბასთან. ეს მუდმივ შემოქმედებითს იმპულსს აძლევს სკკპ ...ტრალური კომიტეტის მუშაობას, მთელი ჩვენი პარტიის ...მიანობას.

... უკვე ჩვიდმეტი წელია, თქვენ განმსაზღვრელი წვლილი ...აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭო... სახელმწიფოს პოლიტიკაში.

...ქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, მიგიძღვით ისტორიული დამსა...ება ხუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის დაძლევაში, პარ...ა და ქვეყანაში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოს...ის შექმნაში. სათუთი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, ...რიგებლობა ყოველგვარი უსამართლობისადმი, ნდობა და ...თხოვნელობა, გერგილიანობა და გაბედული ძიება — აი სტილი, რომელიც ბატონობს ჩვენს საზოგადოებაში. ამ სტილს კომუნისტები სავსებით საფუძვლიანად უკავშირებენ თქვენს მოღვაწეობას, ლეონიდ ილიას ძევ.

თქვენი ინიციატივით განხორციელდა ფართო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა სახელმწიფოს სისტემის შემდგომი განვითარება, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება. ყოველივე ეს აისახა სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში, რომელსაც სავსებით საფუძვლიანად შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვეობის თვალსაჩინო დემოკრატიული დოკუმენტი.

თქვენი მითითებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის კულტურის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანის შესახებ ყველა მშრომელის მოქმედების პლატფორმა გახდა. კარგად არის ცნობილი, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებთ საზოგადოების სულიერი საგანძურის გამრავლებას, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების განვითარებისათვის ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნას.

ათწლეულების განმავლობაში უდიდეს ყურადღებას უთმობთ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითუნარიანობას და, ხართ რა თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, მიაღწიეთ, რომ საბჭოთა ხალხის, მისი მეგობრებისა და მოკავშირეების მშვიდობიანი შრომა საიმედოდ არის უზრუნველყოფილი.

ასმილიონობით ადამიანი ყველა კონტინენტზე კარგად გიცნობთ როგორც ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საქმის ქომაგს. თქვენ ბრძანდებით შემოქმედი სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობების მშვიდობის პროგრამებისა, რომლებიც ახალ ჰორიზონტებს სახავს მსოფლიო პოლიტიკაში. ჩვენს დროში არ არის სხვა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც თქვენსავით ესოდენ ბევრი რამ გაეკეთებინოს მშვიდობის განმტკიცებისათვის. თქვენ სახელთან არის დაკავშირებული საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, თქვენს დაუცხრომელ თავდადებულ ბრძოლას მსოფლიო რაკეტულ-ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა ადამიანები, ფართო გაგებით ეკიდებიან პლანეტის ყველა ხალხი.

ფასდაუდებელია ის, რაც გააკეთეთ და კვლავაც ყოველდღიურად აკეთებთ ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებისათვის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის, სკკპ XXVI ყრილობაზე ახალი დიდი ამოცანები დაუსახეთ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა მშრომელს. მუშავდება სასურსათო ენერგეტიკული და სხვა პროგრამები, რომლებმაც უნდა დაგვაძლევინონ არსებული სიძნელენი და ეფექტიანად გაუწიონ სამსახური ხალხის კეთილდღეობას, მის ბედნიერებას.

გამოვხატავთ რა ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა, ყველა საბჭოთა ადამიანის აზრებსა და გრძნობებს, სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ჯანმრთელობას, უშრეტ ენერგიასა და სულიერ სიმხნევეს, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი პოლიტიკური სიბრძნე, თქვენი, როგორც ხელმძღვანელის, მდიდარი გამოცდილება კვლავაც ემსახურება ჩვენი პარტიისა და ხალხის ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო



# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ლენინის ორდენითა და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მედლით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელ...იფოს წინაშე საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ... თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში ...ალსაჩინო დამსახურებისათვის, დიდი სამამულო ...ის წლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ...მარჯვების მიღწევაში, ომისშემდგომ პერიოდში ...რ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და ...მდგომ განვითარებაში შეტანილი დიდი პირადი ...ლილისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში დაუცხრომელი მოღვაწეობისათვის, კომუნისტური მშენებლობის ნაყოფიერი ხელმძღვანელობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მედლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

...ოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 18 დეკემბერი.

# საიუბილეო ნადნობი

გრაფიკზე ერთი საათით ადრე გამოშვებული ჩქაროსნული ნადნობი და ასობით ტონა ზეგეგმითი ლითონი — ასეთია რუსთაველი მეფოლადის, სოციალისტური შრომის გმირის ოთარ ლომიძის საჩუქარი სამშობლოსადმი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის 75 წლის თავის წინ.

ეს უბრალო ნადნობი როდია. მას ამზადებდნენ მეაგლომერატეები ახალი, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს ამოქმედებული ბრძმედის მებრძმედეები.

...1966 წელს წარჩინებულ მებრძმედეს, სოციალისტური შრომის გმირს არჩილ ძამაშვილს, სწორედ იმ ძამაშვილს, რომელმაც თუჯი გამოადნო ახლად განახლებულ ბრძმედზე, წილად ხვდა ბედნიერება შეხვედროდა ლეონიდ ილიას ძეს. ლეონიდ ილიას ძე რუსთავში ჩამოვიდა და ქართველ მეტალურგთა ცხოვრებასა და შრომას გაეცნო.

— კარგად მახსოვს, რა გვითხრა ლეონიდ ილიას ძემ ჩვენს ამოცანებზე, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაზე, რომელიც ფართოვდება ჩვენს ქვეყანაში, — იგონებდა ა. ძამაშვილი.

იმათ შორის, ვინც იმ დღეს ლეონიდ ილიას ძეს შეხვდა, სრულიად ახალგაზრდა მეფოლადე ოთარ ლომიძეც იყო.

— მახსოვს, ლეონიდ ილიას ძემ თქვა, რომ უნდა მივაღწიოთ ლითონის გამოშვების ზრდას ჩქაროსნული დნობის გზით, რომ ჩვენი ფოლადი მშვიდობიან მიზნებს ხმარდება, რომ იგი სჭირდებათ მენავთობეებს, მანქანათმშენებლებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს...

და ო. ლომიძის დღევანდელი ზეგეგმითი ფოლადი ხალხის საკეთილდღეოდ, მშვიდობის საკეთილდღეოდ გამოშვებული ახალი პროდუქციაა. (საქინფორმი).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს სოციალისტური ქვეყნების ჯილდოები გადაეცა

18 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში საზეიმო ვითარებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს დაბადების სამოცდათხუთმეტი წლის თავის გამო გადაეცა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო ჯილდოები.

დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ტ. ი. კისელიოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.

**ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა**, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო ჯილდოს გადაცემისას, თქვა:

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

მე ჩამოვედი დიად საბჭოეთში, მოსკოვში, სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო დედაქალაქში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს დავალებით.

ამავე დროს აქ ჩამოვედი როგორც ყველა ბულგარელი კომუნისტის, მთელი ბულგარელი ხალხის სრულუფლებიანი დესპანი; ჩამოვედი, რათა გამომეხატა მათი ყველაზე ამაღლებული და სანუკვარი გრძნობები თქვენდამი, რათა სულითა და გულით მომელოცა თქვენთვის, ამხანაგო ბრეჟნევ, დაბადების სამოცდათხუთმეტი წლის თავი, რათა ამ სასიხარულო მოვლენასთან დაკავშირებით მესამედ გადმოეცა თქვენთვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის ოქროს ვარსკვლავი და გიორგი დიმიტროვის ორდენი.

ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა დიდი პატივი გამოვხატო სოციალისტური ბულგარეთის ყველა კომუნისტისა და მშრომელის უსაზღვრო მადლიერება, ღრმა პატივისცემა და მხურვალე

(დასასრული მე-2 გვ.)



სურათზე: ჯილდოების გადაცემისას.

სატეს-საქინფორმის ტელეფოტო.

# ლენინური გვარდიის კომუნისტი, გამოჩენილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

სიყვარული თქვენდამი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, გენიალური ლენინის ღირსეული მემკვიდრისა და საქმის განმგრძობისადმი; თქვენდამი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძენი ხელმძღვანელისადმი; თქვენდამი, მშვიდობისათვის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში პროგრესული კაცობრიობის მგზნებარე შთამაგონებლისა და ორგანიზატორისადმი; თქვენდამი, ვის სახელთანაც, მეცადინეობასთან და შემოქმედებითს წვლილთან დაკავშირებულია ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების მეგობრობის, ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და დაახლოებაში.

ჩვენთვის, თქვენი თანამედროვეებისათვის — ყველა თაობის ბულგარელისათვის, უსაზღვროდ ძვირფასი ბრძანდებით, პატივცემულო ამხანაგო ბრეჟნევ, როგორც ძმა, როგორც მეგობარი, როგორც დიდბუნებოვანი ადამიანი და კომუნისტი, რომელსაც აქვს დიდი, კეთილი და მგრძნობიარე გული, როგორც დიდი და ნათელი პიროვნება, რომლის იდეური, ზნეობრივი და ემოციური გამოსხივება ალამაღლებს, ამდიდრებს, ზრდის ადამიანს.

ვუმადლი ბედს, რომელმაც თქვენთან მეგობრობა მარგუნა. თქვენთან ჩემი მტკიცე პირადი მეგობრობა იყო, არის და იქნება საიმედო დასაყრდენი, რწმენის წყარო ჩვენს საერთო კომუნისტურ საქმეში, ენერგიისა და სიხარულის წყარო, სიამაყის წყარო.

მთელი გულით, მთელი სულით გილოცავთ ბულგარეთის საპატიო ჯილდოს, გისურვებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ჯანმრთელობას, მხნეობასა და დღეგრძელობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, დიადი კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ახალი გამარჯვებებისათვის!

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს სოციალისტური ქვეყნების ჯილდოები გადაეცა

**შემდეგ გამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი. მან თქვა:**

დიდად პატივცემულო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა მეგობრებო!

ნება მიბოძეთ შევასრულო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის საპატიო დავალება და გადავცე ჩვენს ძვირფას მეგობარს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დროშის ალმასებიანი ორდენი.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

ამ საპატიო ჯილდოთი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩვენი სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმს სურთ გამოხატონ თავიანთი დიდი პატივისცემა თქვენდამი. უნგრეთის საზოგადოებრიობა დიდი ხანია და კარგად გიცნობთ თქვენ, ადრეული სიჭაბუკიდანვე რომ მიუძღვენით მთელი თქვენი ცოდნა, ნიჭი და ძალ-ღონე დიდი ლენინის საქმეს, კომუნიზმისა და მშვიდობის საქმეს. ჩვენ დიდად ვაფასებთ გიგანტურ მუშაობას, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდით და დღესაც ეწევით, რითაც ესოდენ თვალსაჩინო წვლილი შეგაქვთ საბჭოთა ხალხის მონაპოვართა გამრავლებასა და დაცვაში, სოციალიზმისა და პროგრესის ძალების შეკავშირებაში, მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

ეს ჯილდო სიმბოლურად გამოხატავს უნგრელი კომუნისტების, სოციალიზმის მშენებელი უნგრელი ხალხის გულწრფელ მადლიერებას ყველაფრისათვის, რაც კი თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მთელი ათწლეულების მანძილზე, როგორც ჭეშმარიტ მეგობარს, გაგიკეთებიათ ჩვენი პარტიებისა და ხალხების ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, ჩვენი მრავალმხრივი ურთიერთობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

ჩემთვის დიდი სიხარულია მრავალი წლის განმავლობაში ახლოს გიცნობდეთ და ვიყო თქვენი თანამებრძოლი ჩვენი საერთო საქმის სამსახურში. ისიც მიხარია, რომ დღეს შემიძლია აქ ვიყო და პირადად გადმოგცეთ უნგრეთის ჯილდო. ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, უწინარეს ყოვლისა ჯან-ღონეს და ჯანმრთელობას, გისურვებთ, რომ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში უძღვებოდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა სახელმწიფოს და წარმატებით შრომობდეთ საბჭოთა ხალხის, მსოფლიოს ყველა ხალხის საკეთილდღეოდ.

**მიკროფონთან არის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი.**

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

წილად მხვდა დიდი პატივი გადმოგცეთ თქვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს თქვენი დაბადების 75 წლის თავთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო. აღვნიშნავ რა თქვენს უთვალსაჩინოეს დამსახურებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძმური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში, სოციალიზმისა და ქვეყნად მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში, განიჭებთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის" საპატიო წოდებას და გაჯილდოვებთ კარლ მარქსის სახელობის ორდენით.

ამით ჩვენ პატივს მივაგებთ ლენინის პარტიისა და ქვეყნის გამოჩენილი წარმომადგენლის პასუხსაგებ, რევოლუციურ მოღვაწეობას, რომლებთანაც სამარადჟამოდ გვაკავშირებს ძმური საბრძოლო თანამეგობრობა.

საყრმიდანვე თქვენი მისწრაფებები და საქმეები ემსახურება კაცობრიობის უკეთილშობილეს საქმეს — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. ამ კეთილშობილური მიზნისაკენ მიმავალ გზაზე საბჭოთა ხალხმა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველაზე ნაცადი და გამოწრთობილი პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგა იმ ერთ-ნახევარ ათწლეულზე მეტ ხანში, რომლის განმავლობაშიც თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მეთაურობთ მას ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე.

ჩვენ დიდ პატივს გცემთ, როგორც ნაცად, ერთგულ და კარგ მეგობარს, რომელიც ჰიტლერული ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლებისთვისაც არ ზოგავდა ყველაზე ძვირფასს, რაც კი კაცს აბადია — თავის სიცოცხლეს. სიტყვითაც და საქმითაც თქვენ ყოველთვის გვეხმარებოდით ძმური, ინტერნაციონალისტური სოლიდარობის სულისკვეთებით, ხელს უწყობდით გერმანიის მიწა-წყალზე პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება-განვითარებას.

დღეს მადლობას გიხდით ფასდაუდებელი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის საკეთილდღეოდ, რომლის ახალი პერსპექტივებიც ჩამოაყალიბეთ სკკპ XXVI ყრილობაზე. მადლობას გიხდით ჩვენ პლანეტაზე მშვიდობისა და პროგრესის მგზნებარე ქომაგს. და თუ ევროპის კონტინენტს ამ საუკუნეში უხანგრძლივესი მშვიდობიანი პერიოდი უდგას, ეს განუყრელად არის დაკავშირებული თქვენს მოღვაწეობასთან სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის შემოქმედებითი შემუშავებისათვის, საბჭოთა ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერებისათვის.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! ნება მიბოძეთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა საბჭოს და ხალხის სახელით სულითა და გულით მოგილოცოთ უმაღლესი ჯილდო. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, გისურვებთ თქვენ და საბჭოთა ხალხს ახალ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ჯილდოების გადაცემისას **მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა**, მიმართა რა დამსწრეთ, თქვა:

ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო საერთო ბრძოლაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

დიდად პატივცემულო ჩვენო საბჭოთა მეგობარო!

განსაკუთრებული სიხარულისა და დიდი კმაყოფილების გრძნობით გადმოგცემთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, უგულითადეს, ძმურ მილოცვას პირადად ჩემგან, მონღოლეთის კომუნისტებისა და ყველა მშრომელისაგან თქვენი დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავთან დაკავშირებით.

ნება მიბოძეთ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის დავალებით გადმოგცეთ მთავრობის უმაღლესი ჯილდოები — სუხე-ბატორის ორდენი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის გმირის „ოქროს სოემბის" მედალი.

თქვენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის გმირის წოდება მოგენიჭათ ჭეშმარიტად უთვალსაჩინოესი ღვაწლისათვის, რომელიც მიგიძღვით საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის, ბირთვული კატასტროფის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნისათვის ბრძოლის, მსოფლიო სოციალიზმის მონაპოვართა გამრავლების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების, საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მრავალი წლის ნაცადი მეგობრობის დამკვიდრების საქმეში.

მონღოლეთის მთავრობის ჯილდოები, რომელთა თქვენთვის გადმოცემის პატივი წილად მხვდა დღეს, გამოხატავენ ჩვენი პარტიისა და მთელი მონღოლი ხალხის ულრმეს და უსაზღვრო მადლიერებას პირადად თქვენდამი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, დიადი ლენინური პარტიისადმი, ჩვენი საბჭოთა და-ძმებისადმი, მონღოლეთის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე მუდამ რომ გვიდგნენ მხარში — ომის განსაცდელის ჟამს თუ მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის დღეებში. ეს ჯილდოები განასახიერებენ უდიდეს პატივისცემასა და მოწიწებას თქვენდამი — საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ურღვევი მეგობრობის, მშვიდობისა და მსოფლიოს ხალხთა უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის მედროშისადმი.

ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც მთელი დედამიწის ზურგზე, თქვენ კარგად გიცნობენ და უდიდეს პატივს გცემენ როგორც საბჭოეთის ნაცად ხელმძღვანელს, ლენინის დიადი საქმის განმგრძობს, თანამედროვეობის გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, დაუშრომელ მებრძოლ-ინტერნაციონალისტს, რომელსაც მომადლებული აქვს უდიდესი პარტიული და სახელმწიფოებრივი სიბრძნე, უშრეტი შემოქმედებითი ენერგია, დაუოკებელი ლტოლვა დასახული მიზნების მისაღწევად. მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ლენინური პარტიის რიგებში 50 წელზე მეტი ხნის მოღვაწეობა ჩვენთვის, მონღოლი კომუნისტებისათვის ნიმუშია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ურყევი ერთგულებისა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი საქმის უანგარო სამსახურისა.

თქვენი სამოცდათხუთმეტი წლის იუბილეს დღეს მონღოლეთის კომუნისტები და მშრომელი ხალხი კვლავ გიცხადებენ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ულრმეს მადლობას იმ გულითადი მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, მონღოლეთის მშრომელთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის რომ იჩენთ. თქვენი სიტყვები, მონღოლეთის ხალხთან მეგობრობა საბჭოთა ადამიანებისათვის ღირსებისა და ინტერნაციონალური მოვალეობის საქმეაო, ფრთას ასხამს და შთააგონებს მონღოლ მშრომელებს ახალ გამარჯვებებს სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ სახელოვანი იუბილე და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის გმირის წოდების მონიჭება, გისურვოთ კარგად ყოფნა, დღეგრძელობა და შემდგომი დიდი წარმატებანი თქვენს ნაყოფიერ საქმიანობაში საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენების, სოციალიზმის ქვეყნების ხალხთა მეგობრობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცების, მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საქმის გამარჯვებისათვის.

**რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ** რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ჯილდოს გადაცემისას თქვა:

ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს გადმოგცეთ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის „სოციალისტური გამარჯვების" საპატიო ორდენი, რომლითაც რუმინეთის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დაგაჯილდოვოთ რუმინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თანამშრომლობის განვითარებაში, რუმინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში, სოციალიზმის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საერთო საქმის განვითარებაში თქვენი განსაკუთრებული წვლილის მაღალი შეფასების ნიშნად. გადმოგცემთ ამ საპატიო ორდენს თქვენი 75 წლის თავისა და როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ხანგრძლივი საქმიანობის გამო.

მინდა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის სახელით და პირადად გულთბილად მოგილოცოთ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ამ საპატიო ორდენის გადმოცემასთან დაკავშირებით, აგრეთვე თქვენი იუბილეს გამო, სულითა და გულით გისურვოთ თქვენ, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწესა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს ჯანმრთელობა, მხნეობა, სრული წარმატებანი იმ გზაზე, რომელზეც თქვენ ასრულებთ საპატიო პასუხსაგებ ამოცანებს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში.

გამოვთქვამ რწმენას, რომ კვლავაც ვიმოქმედებთ ერთად ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების თანამშრომლობის განუწყვეტელი განვითარების, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების, ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში მათი სოლიდარობისა და თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით.

ვითვალისწინებ რა რთულ საერთაშორისო ვითარებას, გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, სერიოზულ საფრთხეს, რომელიც ემუქრება ჩვენი ხალხების, მთელი მსოფლიოს თავისუფლებას, არსებობასა და თვით სიცოცხლეს, მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ კიდევ უფრო განმტკიცებულიყოს ჩვენი სახელმწიფოების თანამშრომლობა ევროპაში დაძაბულობის შენელებისათვის, უშიშროებისა და თანამშრომლობის განხორციელებისათვის, ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ევროპისათვის, ჩვენს პლანეტაზე უკეთესი, სამართლიანი მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ერთხელ კიდევ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მხურვალედ გილოცავთ და გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

თავის გამოსვლაში **ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა** თქვა:

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტების, ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხის სახელით და პირადად ვუერთდები ყველას, ვინც დღეს აქ მობრძანდა თქვენთვის ღირსშესანიშნავი იუბილეს მოსალოცად. სულით და გულით გისურვებთ კარგად ყოფნას, ახალ დიდ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ მოღვაწეობაში, სოციალიზმის, კომუნიზმისა და მშვიდობის გასამარჯვებლად, გისურვებთ დიდ ბედნიერებას და პირად კეთილდღეობას.

ნება მიბოძეთ, შევასრულო განსაკუთრებით სასიამოვნო და საპატიო მისია: მოგართვათ თქვენ ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი ჯილდოები — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გმირის ოქროს ვარსკვლავი და კლემენტ გოტვალდის ორდენი. ეს ჯილდოები თქვენ მოგენიჭათ დაბადების 75 წელთან დაკავშირებით და იმ განსაკუთრებული ღვაწლის აღსანიშნავად, თქვენ რომ მიგიძღვით ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის იდეების განხორციელებისათვის; თქვენი აქტიური ბრძოლისათვის სოციალიზმის, პროგრესისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად მთელ მსოფლიოში, უთვალსაჩინოესი წვლილისათვის, თქვენ რომ შემატეთ ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის ინტერნაციონალური ურთიერთობის განვითარებას.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა კარგად იციან თქვენი ცხოვრების გზა, დიდად აფასებენ თქვენს უთვალსაჩინოეს დამსახურებას ყველა იმ პარტიულ თუ სახელმწიფო პოსტზე, რომლებზეც პარტიის ნებით შრომობდით თქვენი ნაყოფიერი სიცოცხლის მანძილზე. დღეს მინდა, სულით და გულით მოგიძღვნათ მადლობა იმისათვის, რომ თქვენს ყოველდღიურ მრავალმხრივ საქმიანობაში მუდამ დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდით სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ხალხის ცხოვრებასა და შრომას.

მთელი თქვენი ცხოვრებით, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ,
თქვენი ბრძოლითა და გა
თქვენ სამუდამოდ ჩაწ
თქვენი სახელი ჩვენი ხალხ
უახლეს ისტორიაში, ჩ
მშრომლების გულში. ისინი
დამ ულრმესი მადლიერებით
ხსენებენ თქვენს — სახელო
საბჭოთა არმიის გენერლის პ
მონაწილეობას ფაშისტური ო
პაციისაგან ჩეხოსლოვაკიის გა
ვისუფლებისათვის ბრძოლ
თქვენ ყოველთვის ხარობ
ჩვენი წარმატებებით და ღ
განიცდიდით ჩვენს სიძნელე
ყოველი თქვენი ვიზიტი ჩე
ლოვაკიაში — ეს იყო დღესა
ული ჩვენი ხალხის ცხოვრებ
რომელმაც ჯეროვნად დაა
თქვენი მონაწილეობაც ჩეხოსლ
ვაკიის კომუნისტური პარტ
XVI ყრილობის მუშაობაში. თ
ნი გამოსვლები მუდამ იყო
არის ყოველი ჩვენგანისათ
პირადად ჩემთვის უერთგულ
მეგობრის წრფელი და ბრძნ
რჩევა-დარიგება.
ძვირფასო ამხანაგო ბრეჟ
გადმოგვცემთ რა ჩეხოსლოვ
ის უმაღლეს ჯილდოებს, მი
ერთხელ კიდევ სულით და
ლით გისურვოთ კარგად ყო
და მრავალი წლის ნაყოფი
მოღვაწეობა საბჭოთა კავში
საბედნიეროდ, მისი ხალხ
სვებედნიერი ცხოვრების, მ
მსოფლიოში სოციალიზმისა
მშვიდობის საკეთილდღეოდ.
მოძმე ქვეყნების ხელმძღვა
ლთა გამოსვლებს შეკრები
ტაშით შეხვდნენ.
შემდეგ სიტყვა წარმოთქვა
ხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყ

პატივცემულო ამხანაგებო! მეგობრებო!

იმედი მაქვს, გამიგებთ, რატომ ვღელავ ასე. იუბილე ხომ არ არის ანგარიში მარტოდენ საკუთარი თავის, შენი ხალხის წინაშე; აქ ანგარიშს აბარებენ თანამოსაქმე მეგობრებსაც, და ამასთანავე თითქოს ხელახლა ამოწმებ გამოვლილ გზას.

გულითად მადლობას მოვახსენებ ამხანაგებს ჟივკოვს, კადარს, ჰონეკერს, ცედენბალს, ჩაუშესკუს, ჰუსაკს იმისათვის, რომ ისინი დღეს აქ არიან, მოსკოვში. გმადლობთ, მეგობრებო, მაღალი ჯილდოებისათვის, იმ გულთბილი სიტყვებისათვის, ახლა რომ ბრძანეთ ჩემზე და ჩემს მუშაობაზე.

გიჭირს კაცს ილაპარაკო საკუთარ თავზე, გიჭირს და გეუხერხულება. ამიტომ მინდა ამთავითვე გავუსვა ხაზი: ჩემი შრომა მცირედი ნაწილია ლენინური პარტიის გიგანტური საქმიანობისა, რომელთანაც ცხოვრება უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია განუყრელად მაკავშირებს.

ბევრი განსაცდელი ჰქონია ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. გვახსოვს სიდუხჭირე და გაჭირვება, გვახსოვს ბევრი ჭირი, მაგრამ ლხინი მაინც გაცილებით მეტი გვქონდა, და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, უმთავრესი ლხინი და სიხარული იყო შემოქმედების სიხარული, ახლის შენების სიხარული.

ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება მონაწილენი ვყოფილიყავით სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო გაერთიანების ჩამოყალიბება-განვითარებისა. აი უკვე თითქმის ოთხი ათწლეულია მხარდამხარ ვშრომობთ სოციალისტურ ქვეყნებში მოღვაწე კლასობრივ ამხანაგებთან ერთად. ერთად ვაშენებთ — თან ვაშენებთ რთულ პირობებში — ხალხთა შორის ნამდვილად სამართლიან, ნამდვილად რთულ ურთიერთობას. გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური მიმართულებაა მოღვაწეობისა კაცობრიობის ისტორიაში.

მთელი ჩვენი პოლიტიკური და ზნეობრივი მისწრაფებანი მშვიდობიან საქმეებს ექვემდებარება.

მათ ჩვენ მუდამ წინა პლ
ვაყენებთ. გვინდა მშვიდ
გვქონდეს ჩვენ, მშვიდობა ჰქ
დეთ ხალხებს, თავიანთ გზ
რომ ეძებენ პროგრესისა
მშვიდობა ჰქონდეს მთელ კაც
რიობას. სახელმწიფო მოღვ
ებს უნდა ესმოდეთ: იმისათ
რომ მშვიდობის საქმემ გაიმა
ვოს, მარტო შენს ინტერე
კი არ უნდა იცავდე, არამედ
რეთვე პატივს სცემდე სხვის
ტერესებს.
მშვიდობა და სამართლიანი
განუყოფელი ცნებებია. და,
ლა თქმა უნდა, მშვიდობისათ
ნამდვილი ზრუნვა შეუთავსებე
ეროვნულ ეგოიზმთან, მსოფ
ლიდერობის პრეტენზიებთან.
პოლიტიკაში მარტოდენ სა
გებლო კი არა, საჭიროც
გახედო დღევანდელობის ჰო
ზონტებს მიღმა. მე ეჭვი არ
პარება, რომ მშვიდობის ნათ
სძლევს ომის აჩრდილს. მომა
ლი წლები შეიძლება იყოს
უნდა იყოს კიდეც მშვიდობია
ისინი კიდევ უფრო მეტად
თელყოფენ ჩვენი იდეალე
ჰუმანიზმს, ჩვენი მეგობრო
სიდიადეს.
რაც შემეხება მე, მინდა ა
თქვათ — კვლავაც არ დავი
რებ ძალ-ღონეს სოციალისტ
ქვეყნების მეგობრობის განსა
კიცებლად, ლენინის უკვდავი ს
მის ახალ წარმატებათა მოსა
ვებლად.
აი, ძვირფასო ამხანაგებო,
ზოგიერთი აზრი და გრძნ
რომლებიც თქვენთვის მინდ
გამეზიარებინა ამ საზეიმო დ
**(ხანგრძლივი ტაში).**

□

შეკრებილებმა გულთბილ
მიულოცეს ამხანაგ ლ. ი. ბრ
ნევს მაღალი ჯილდოები და
ბადების სამოცდათხუთმეტი
ლი. მათ ლეონიდ ილიას
უსურვეს შემდგომი წარმატებ
მის მრავალმხრივ მოღვაწეობ
სოციალისტური თანამეგობრო
ქვეყნების შეკავშირების დასა
ვიდრებლად, საერთაშორისო
მუნისტური და მუშათა მოძრ
ბის განსამტკიცებლად, მთ
კაცობრიობის მშვიდობისა და
დნიერების საკეთილდღეოდ.
(საქდესი)

## საქართველო მასპინძლობდა...










1966 ლ. ი. ბრეჟნევი სიტყვას ამბობს საქართველოს კომ-პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

1971 ლ. ი. ბრეჟნევი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის გამოფენაზე.

1974 ლ. ი. ბრეჟნევი ქ. სოხუმში აფხაზეთის ასსრ დღეგრძელ ადამიანებთან.

1981 ლ. ი. ბრეჟნევი საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

## წიგნი დამრიგებელი, წიგნი ტრიბუნი

### ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებათა" იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ

**ტრადიციისამებრ**, ჩვენი სახელმწიფოსა და პარტიის ლიდერის ყოველი პუბლიკაცია, მოხსენება იქნება იგი, წერილი თუ წიგნი — საზოგადოების ფართო ფენების შესწავლისა და განხილვის საგნად იქცევა. იდეოლოგიური სამსახურის ყოველი რგოლი და ინსტანცია სახელმძღვანელო პრინციპებს იღებს ყოველი ასეთი პუბლიკაციიდან და ამით ამდიდრებს თავისი ოპერატიული მუშაობის თეორიულ და მეთოდოლოგიურ არსენალს. ამ მხრივ დიდად მნიშვნელოვანია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ახლახან გამოქვეყნებული „მოგონებანი", რომელიც მოიცავს პერიოდს ადრეული ბავშვობიდან სამამულო ომის დაწყებამდე.

ამ შრომის შესწავლისა და პროპაგანდის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო იმას, რომ აქ საქმე გვაქვს გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფიის დოკუმენტურ პირველწყაროსთან, არამედ, ამავე დროს, და უფრო მეტად, იმ თეორიულ-იდეოლოგიურ განზოგადებებს, რომლებითაც მდიდარია ეს მოგონებანი და რომელთა წყალობით იგი იძენს თანამედროვეობისათვის აქტუალურ ჟღერადობას. ამ შრომაში, ისევე როგორც ავტორის ადრე გამოქვეყნებულ მოგონებებში („მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი"), წარსული მოვლენები ისეა ასახული, რომ ნაჩვენებია მათი ზოგადი ბუნება, არსება და სპეციფიკა; **ასეთი განზოგადების უნარით იქცევა იგი გამოცდილებად, რომელიც მიმართულია აწმყოსა და მომავლისადმი, დაკრისტალებულია ცხოვრებისეულ სიბრძნედ და მოქმედების სახელმძღვანელოდ.**

1. მოგონებების პირველ ნაწილს ჰქვია **„ქარხნის საყვირი და ჩვენი ცხოვრება"**. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს ისტორიულ-დოკუმენტური მასალა რუსეთის მუშათა კლასის გენეალოგიისა და სოფლის მოსახლეობის ქალაქში მიგრაციის პრობლემებთან დაკავშირებით. ერთი ტიპური მუშური ოჯახისა და მისი წევრების აღზრდა-ჩამოყალიბების ფრაგმენტული სურათების მიღმა ჩვენ ვეცნობით რუსეთის მთელი მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების, სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და პარტიის აღმშენებლობითი მოღვაწეობის ცოცხალ ისტორიას. ავტორის პიროვნების ჩამოყალიბების კონკრეტულ სურათებში იგრძნობა მთელი ქვეყნის მაჯისცემა, მისი სუნთქვა, ზრდის სიძნელეებისა თუ სასწაულებრივი წარმატების ჰეროიკა. ყოველივე ეს შესანიშნავი მასალაა ერთეულისა და ზოგადის დიალექტიკის ჩვენებისა და ემპირიულში ტიპურის მიგნების ხელოვნების ილუსტრირებისათვის.

2. პროპაგანდისტულ, იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ავტორი საგანგებოდ ჩერდება რევოლუციამდელი მუშათა კლასის სოციალური და ზნეობრივი პორტრეტის დახასიათებაზე: **„იგი დიდი მშრომელია, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი მუშა-კაცის შესახებ, — მას უშრეტი მოთმინება ახასიათებს, მან თავისი საქმე იცის და მისი კარგად კეთება სჩვევია. მეფის დროსაც კი, ექსპლოატაციის პირობებშიც კი, მას ზიზღსა ჰგვრიდა ცუდი ნამუშევარი, რადგან ოსტატობას ყოველთვის აფასებდა და თავის შრომას პატივს სცემდა".**

მშრომელი კაცის ამ თვისებისა და თავისი საქმისადმი ასეთი ჯანსაღი ზნეობრივი დამოკიდებულების ფაქტზე ყურადღების გამახვილება საჭიროა იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სოციალურ მოვლენათა კლასობრივი შეფასების მარქსისტული პრინციპის ვულგარული გაგების რეციდივები. იმ მარტივი დებულებიდან, რომ პროლეტარი ქმნის საქონელს, რომელიც გამოიყენება კაპიტალისტის გამდიდრებისა და პროლეტარის ექსპლოატაციისათვის — გამოაქვთ დასკვნა — კაპიტალიზმის პირობებში შრომისადმი კლასობრივი მიდგომისა და ფორმალური, ნაძალადევი, მხოლოდ მოვალეობითი დამოკიდებულების გამართლების შესახებ.

შრომისადმი ასეთი მიდგომის ცალკეული ან თუნდაც მეტ-ნაკლებად ხშირი შემთხვევები შეიმჩნევა არათუ კაპიტალისტურ, არამედ სოციალისტურ საზოგადოებაშიც, მაგრამ ეს არაა ტიპური და კანონზომიერი. ყოველ შრომას, საქმეს, კეთებას აქვს არა მარტო კონკრეტული, ემპირიული, არამედ ზოგადადამიანური ბუნებაც; იგი ადამიანური არსების რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. უფრო მეტიც, თვითონ არის ამ რეალიზაციის შინაარსი, თვითმიზანი და თავისთავადი ღირებულება. შრომის სიყვარულით, პროფესიისადმი ერთგულებით ადამიანი საკუთარ ადამიანურ ღირსებას იცავს და ავითარებს. ეს არის **მუშური სინდისის** მთავარი მომენტი. კლასობრივი, რევოლუციური ბრძოლის მოტივები და ინტერესები არათუ არ ჩრდილავენ მუშური სინდისის ხმას, არამედ პირიქით, მას კვებავენ, აძლიერებენ და ავითარებენ.

3. იმდროინდელი რუსეთის მუშათა კლასის დახასიათებიდან ლ. ი. ბრეჟნევი გადადის საკუთარი მშობლების დახასიათებაზე და მათი ფიზიკური და სულიერი თვისებების საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს ჰქმნის. ჩვენთვის მთავარია ამ პორტრეტის მორალური შტრიხები და საღებავები:

„იგი (ლაპარაკია მამაზე — გ. ბ.) **აღსავსე იყო საკუთარი ღირსების გრძნობით, არ ცბიერობდა, გულწრფელობა ახასიათებდა და ამხანაგები პატივს სცემდნენ. ჩვენ, შვილებს, გვსიამოვნებდა, ამას რომ ვხედავდით. — თუ შეჰპირდი, სიტყვა არ გატეხო, — მეუბნებოდა მამა. — თუ ეჭვი გეპარება — სიმართლე თქვი, გეშინია, — ნუ გააკეთებ, და თუ გააკეთე — ნუღარ შიშობ, თუ დარწმუნებული ხარ, რომ მართალი ხარ — შენსას ნუ გადაუხვევ. თვითონაც ასე იქცეოდა, მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო".**

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მშრომელი კაცის მორალური კოდექსის ამ აქსიომური პრინციპების მნიშვნელობა. ეს არის გულწრფელობის, პრინციპულობის, სიტყვის ერთგულების, სიმართლის სიყვარულისა და მასთან დაკავშირებული სიმამაცის სათნოებათა აუცილებლობაზე მითითება. ეს სწორედ ის სათნოებანია, რომელთა კულტივირება და ჩანერგვა მთელი ჩვენი იდეოლოგიური საქმიანობის თავიდათავია. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ჩვენს რესპუბლიკაში გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სწორედ **გულწრფელობისა და პატიოსნების დამკვიდრება, სიტყვისა და საქმის ერთიანობის მიღწევა, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის დაძლევა.**

ლ. ი. ბრეჟნევი თითქმის ყოველ თავის გამოსვლაში აქცევს ამას ყურადღებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ამ მანკიერების მიზეზების მიგნებისა და აღმოფხვრისათვის. ლაპარაკია ქვემოდან კრიტიკის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპის სრულ რეალიზაციაზე, დემოკრატიის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების აუცილებლობაზე, მშრომელთა მილიონების პოლიტიკური აქტიურობისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში რეალური მონაწილეობის უზრუნველყოფაზე. ლაპარაკია ჩვენი პროგრამების, კანონებისა და დადგენილებების ადეკვატურ დაცვასა და შეუვალობაზე.

4. განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თავის მოგონებებში ლ. ი. ბრეჟნევი თავმდაბლობას. ამას იგი აკეთებს საკუთარი დედის მორალური პორტრეტის დახასიათების დროს. აი ეს ადგილიც: **„უკვე მოსკოვში ვმუშაობდი, დედა კი ვერა და ვერ დავიყოლიე, რომ ჩემთან გადმოსულიყო. ისევ იმ სახლში ცხოვრობდა პელინის ქუჩაზე, ისევ იმ პატარა ბინაში, ჩემს დასთან და მის ქმართან ერთად... ადგილობრივ ხელისუფლებს უხერხულად მიუჩნევიათ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის დედა ასეთ ბინაში ცხოვრობს. შესთავაზეს უფრო დიდი, უფრო ნათელი, ყველაფრით კეთილმოწყობილი ბინა. უნდა შევნიშნო, რომ იმ დროისათვის დნეპროძერჟინსკში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. მაგრამ რამდენი არ შეუჩნდნენ, დედამ მაინც უარი თქვა გადასვლაზე, ისევ იმ სახლში ირჩია ცხოვრება. დადიოდა მაღაზიაში ჩანთით, წყრებოდა, თუ ვინმე შეეცდებოდა რიგის დათმობას..."**

ლ. ი. ბრეჟნევის ამ სიტყვების აქტუალობა მაშინვე ნათელი გახდება, როგორც კი ჩვენს დღევანდელობას მივუყენებთ მას. მომხმარებლური ფსიქოლოგია, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ნივთებით გატაცება და სხვა მანკიერებები, რასაც ჩვენ ასე ვგმობთ და ვკიცხავთ, იშვიათი როდია მოსახლეობის იმ ფენებშიც კი, კრისტალური პატიოსნებისა და მაღალი ზნეობის ნიმუშს რომ უნდა იძლეოდნენ. მაგრამ ახლა ყველა ხედავს, რომ პარტიული ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ აღზრდის მთელი საქმისადმი კომპლექსური მიდგომის შესაძლებლობებს.

ისინი ქმნიან იმ ჯანსაღ ატ
სფეროს, რომელიც ყოველგ
გარანტიას იძლევა ჯერ კიდევ
მორჩენილი მავნე გადმონაშთ
აღმოფხვრისათვის. ასეთი უ
მპრომისო ბრძოლა მიმდინარე
ჩვენი საზოგადოების ყველა რ
ლსა და ყოველ ფენაში.
5. საყურადღებო მოსაზრ
ებს გამოთქვამს ლ. ი. ბრეჟნ
თაობათა მემკვიდრეობითობისა
თანამედროვე ახალგაზრდობის
ციალურ-ფსიქოლოგიური პორ
რეტის შესახებ. ყოველი თაო
როგორც იგი წერს, მემკვიდ
ობით იღებს წინა თაობის მ
პოვარს და წინ მიდის, თა
გზას განაგრძობს უკვე ახალ
ფეხურზე. **„ახალგაზრდებს ზოგ
ჰგონიათ, მთავარი უკან დარჩ
უკან დარჩა რევოლუცია,
დარჩა სამოქალაქო ომის ბრ
ლები, გიგანტური ქვეყნის
ციალისტური გარდაქმნის მ
წლები, უკან დარჩა დიდი ს
ულო ომის ჰეროიკაო... ასე
ნიათ ახალგაზრდებს. მაგრამ დ
ბა მათი დრო, პაპებისა და
მების ესტაფეტა მათ ხელში
დადის, და მაშინ ირკვევა,
მათ წილადაც მოდის განსაც
ლი და დიდი საქმეები".**
აქ ლოგიკური მახვილი დას
ლია სწორედ ბოლო სიტყვ
„განსაცდელზე" და „დიდ საქ
ებზე". ყოველ ეპოქას თა
პრობლემები და საზრუნავი
ნდება. რევოლუცია არ დამთ
რებულა, ჩვენმა დღევანდე
თაობებმა უნდა განაგრძონ
დაამთავრონ იგი კომუნიზმის
ფუძვლების აშენებით. სამამ
ომის ჰეროიკა შეცვალა ბუნ
სტიქიასთან ბრძოლამ და სა
შენებლო რომანტიკამ,
კლასობრივი, სამოქალაქო
გადაიზარდა ნაკლოვანებებ
და ნეგატიური მოვლენების
ნააღმდეგ საყოველთაო-სახალ
ომად. ახალგაზრდობის გმირო
სა და თავის გამოჩენის სარ
ლი დღეს, შეიძლება ითქ
უფრო ფართო და მრავალმ
ვია, ვიდრე ადრე იყო. ეს
სწავლა და შრომა, მეცნიერ
და ხელოვნება, ტექნიკა და
რტი, დაბრკოლებებთან და
ნელეებთან ბრძოლა.
ასე რომ, ნაკლები თავსა
ამოცანები როდი დგას თანამ

# [პ]ოლიტიკური ხელმძღვანელი

## მადლობა თქვენდა!

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გამოხატავენ ქართველი ხალხის, მრავალეროვანი საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის ერთიან ნებასა და მხურვალე ...ლურ გრძნობებს და გულითადად გილოცავენ სახელოვან იუბილეს, გისურვებენ ჯანმრთელობას, უშრეტ ენერგიას, ულევ ძალ-ღონეს თქვენს კეთილშობილურ მოღვაწეობაში კაცობრიობის ბედნიერებისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

პარტიის რკინისებურ რიგებში, ხალხის მხარდამხარ თქვენ განვლეთ შესანიშნავი გზა მუშიდან სახელმწიფოს მეთაურამდე, ლენინური პარტიის რიგითი წევრიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნამდე, ომისა და შრომის ქარ-ცეცხლში გამოატარეთ მარქსისტ-ლენინელის მხურვალე გული, სამართლიანობის იდეალების ურყევი ერთგულება, გონიერების გამარჯვების უსაზღვრო რწმენა.

თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, რომელიც თქვენი ხალხის ხორცი ხორცთაგანი ხართ, მოქალაქის, პატრიოტისა და ჯარისკაცის კეთილშობილური ცხოვრების 75 წელი ადამიანებს მოახმარეთ. მუდამ ხალხთან ერთად, ყველაფერი ხალხისათვის — ამ წმიდათაწმიდა პრინციპს მუდამ ერთგულობდით. მასებთან ცოცხალი კავშირით მტკიცდებოდა და მაღლდებოდა თქვენი, როგორც კომუნისტის, ავტორიტეტი, მარქსიზმის თეორეტიკოსის ნიჭი, ლენინური მასშტაბის სტრატეგის ძალა.

თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სისხლი სისხლთაგანი ხართ, პარტიის რიგებში [illegible] წელი მოახმარეთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის კეთილშობილურ საქმეს. ლენინის პარტიამ აღგზარდათ და გამოგწრთოთ თავის მსგავსად და გვარად. პარტიას, მის დიად იდეალებს მოახმარეთ მთელი თქვენი ზრახვები, საქმენი, მიღწევები.

თითქმის 20 წელია, რაც თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, დგახართ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საჭესთან, და მტკიცედ დაამკვიდრეთ მუშაობის ლენინური სტილი, მაღალი მომთხოვნელობის, ამხანაგური ურთიერთდახმარების, ინიციატივის, ძიების, შემოქმედების, შეგნებული კომუნისტური დისციპლინის ატმოსფერო. თქვენ გახდით აზრისა და მოქმედების, სიტყვისა და საქმის, თეორიისა და პრაქტიკის, რევოლუციური მოძღვრებისა და რევოლუციური შემოქმედების ერთიანობის ცოცხალი მაგალითი. თქვენ ხართ საბჭოთა ხალხის აღიარებული ბელადი, და მტკიცედ, ბრძნულად და გამჭრიახად მიგვიძღვით გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, გვიკვალავთ მშვიდობისა და ბედნიერების უვალ გზებს, ყოველ ღონეს ხმარობთ, რათა ჩვენს პლანეტას ადამიანთა მიწა ერქვას. თქვენ მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამა გახდა საერთაშორისო ურთიერთობაში პროგრესის გარანტი, მილიონობით კეთილი ნების ადამიანის იმედი, რომ იქნება მშვიდობა, უშიშროება, დაძაბულობის შენელება, რომ გონიერება საბოლოოდ გაიმარჯვებს ბირთვულ უგუნურობაზე.

თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, წილად გხვდათ გადამწყვეტი როლი კაცობრიობის ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში.

თქვენი სახელი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ახლობელი და მშობლიური გახდა საბჭოთა საქართველოს ყოველი ოჯახისათვის, ყოველი მოქალაქისათვის. მადლიერებითა და სიყვარულით წარმოთქვამენ მას აფხაზეთის მეჩაიეები და რუსთავის მეტალურგები, აჭარის მეციტრუსეები და ქუთაისის ავტომობილმშენებლები, სამხრეთ ოსეთის მეცხვარეები და აბასთუმნის ასტრონომები, კახეთის მევენახეები და თბილისის ელმავალმშენებლები, ქართლის მებაღეები და სამგორის მენავთობეები. ჭეშმარიტად ფასდაუდებელი და გრანდიოზულია თქვენი როლი დღევანდელი საქართველოს ბედში, მის ეკონომიკურ და სოციალურ აღორძინებაში, რომელსაც დასაბამი მისცა ჩვენთვის ისტორიულმა დადგენილებამ თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, პარტიის ლენინურმა შტაბმა რომ მიიღო თქვენი პირადი ინიციატივით. დიდი, მამობრივი გრძნობით არის გამთბარი თქვენი მუდმივი ზრუნვა საქართველოს ყველა კუთხისა და რეგიონის, მისი ყოველი ქალაქისა და სოფლის განვითარებისათვის. ამის ახალი მკაფიო დადასტურება გახდა თქვენი დაუვიწყარი სტუმრობა საქართველოს მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლის თავის ზეიმის დღეებში, რომელიც გადაიქცა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობისა და ძმობის ნამდვილ ტრიუმფად.

„იმოქმედეთ უფრო თამამად, იმუშავეთ კიდევ უფრო შეუპოვრად, კვლავაც აამაღლეთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი“, — თქვენი ეს სიტყვები, როგორც მამის დარიგება, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისათვის უცილობელი კანონი გახდა.

ძვირფასო, საყვარელო ლეონიდ ილიას ძევ!

თავისი ერთგული შვილისადმი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გამთბარ ამ საზეიმო დღეს, ამ ნათელ დღესასწაულს, რომელიც ყველა საბჭოთა ადამიანს საშუალებას აძლევს დააგუგუნოს შვილური მადლიერების საყოველთაო-სახალხო ზარები, მიიღეთ საქართველოს ხალხის მღელვარე ხმა, ადამიანის გულის სიღრმიდან მომავალი ხმა — გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ლეონიდ ილიას ძევ!

მადლობა თქვენდა, შრომისათვის, მთელი თქვენი ცხოვრების დიდი გმირობისათვის.

დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, გვწამს მომავალი.

გვწამს იმიტომ, რომ საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებით, უძლეველია.

გვწამს იმიტომ, რომ თქვენ ჩვენთან ერთად ხართ.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

## ...საქმე კვლავაც კარგად უნდა მიდიოდეს!

საქართველოს კომპარტია, მისი ხელმძღვანელი ცენტრი მთელი უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში თავიანთ ორგანიზატორულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაში ყოველთვის გამოდიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებიდან და თავიანთ საქმიანობას მათი რჩევების, მითითებების, გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმართავდნენ.

საქართველოსთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უაღრესად გულისხმიერმა, მზრუნველმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო აამაღლა სახელოვანი ისტორიის მქონე საქართველოს კომპარტიის ავტორიტეტი, მისი შტაბის — ცენტრალური კომიტეტის წარმმართველი და მაორგანიზებელი როლი.

შეაფასა რა საქართველოსთან ლ. ი. ბრეჟნევის ესოდენ მზრუნველი დამოკიდებულების დიდი მნიშვნელობა ქართველი ხალხის ბედისათვის, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ 16 დეკემბერს ქ. მახარაძეში მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე თქვა:




„ბევრი, ძალზე ბევრი რამ აკავშირებს საქართველოს, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხეს, ყველა ხალხს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან.

ლეონიდ ილიას ძე სამჯერ იყო საქართველოში, მან ორჯერ მიაბნია მის დროშას ორდენები — სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები — ლენინის ორდენი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენი. ლეონიდ ილიას ძის პირადი ინიციატივით ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ საქართველოს კომპარტიის, ჩვენი რესპუბლიკის თაობაზე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებიდან მოყოლებული, ექვსი ფუნდამენტური გადაწყვეტილება მიიღეს.

და ყველაფერს, რასაც ამ დროში მიაღწია ოთხგზის ორდენოსანმა საბჭოთა საქართველომ, რომელსაც ზედიზედ რვაჯერ მიენიჭა გარდამავალი წითელი დროშები, კომუნისტები, ყველა მშრომელი, მთელი ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდნენ ჩვენს პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

დღეს შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ: ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დაუმეგობრდა საქართველოს, შეიყვარა იგი“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობა და მზრუნველობა საქართველოს კომპარტიისადმი, მისი დაინტერესება რესპუბლიკის ბედით როდი ამოიწურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს შესახებ მისი ინიციატივით მიღებული ზემოაღნიშნული დადგენილებებით. საქართველოს კომპარტიისათვის, მთლიანად რესპუბლიკის წარმატებისათვის დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს იმ დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას, რომელსაც იგი უშუალოდ იჩენდა და იჩენს ჩვენი რესპუბლიკის მიმართ. რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან მის სისტემატურ კონტაქტზე რომ არაფერი ვთქვათ, იგი რეგულარულად ეხმაურებოდა და ეხმაურება რესპუბლიკის ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ყოველ საყურადღებო მოვლენას.

შეიძლებოდა მრავალი ფაქტის მოყვანა: 1974 წლის 16 სექტემბერს ლ. ი. ბრეჟნევმა წერილით მიმართა საქართველოს მეჩაიეებს. თავის წერილში მან მაღალი შეფასება მისცა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად რესპუბლიკის მშრომელთა ძალების დარაზმვისათვის საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ მუშაობას.

აღსანიშნავია აგრეთვე ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილი წერილები, რომლებიც მან სხვადასხვა დროს გამოუგზავნა ტყვარჩელის № 2 შახტის მოწინავე მაღაროელს, სოციალისტური შრომის გმირს ლ. ტყებუჩავას, ფოთის სავაჭრო საზღვაო ნავსადგურის უფროს მეამწეს გ. გუგუშვილს და თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ მუშას ე. გალუსტოვას. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი თავის წერილებში ულოცავდა მათ საწარმოო წარმატებებს.

ანალოგიური ხასიათის არა ერთი და ორი დეპეშა გამოუგზავნია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე კოლექტივებისა და ცალკეული მოწინავე ადამიანებისათვის 1975-1980 წლებშიც. დიდი ოქტომბრის 61-ე წლისთავის ზეიმის წინ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადად მიულოცა ამიერკავკასიის უდიდესი ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა და მემონტაჟეთა მრავალათასიან ინტერნაციონალურ არმიას ენგურჰესის პირველი აგრეგატის მწყობრში ჩადგომა.

როგორც მაღალ ჯილდოს, ისე შეხვდნენ ენგურჰესის მშენებლობის ყველა მონაწილე და რესპუბლიკის ყველა მშრომელი ამ ცნობას. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების წერილის ყოველმა თბილმა სიტყვამ ახალი დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ენგურჰესის მრავალათასიან კოლექტივში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მილოცვის წერილი, რომელიც გამოუგზავნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გასული წლის ნოემბრის ბოლოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, ყველა მშრომელს. თავის წერილში ლ. ი. ბრეჟნევი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საქართველოს მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და ვადამდე შეასრულეს მეათე ხუთწლედისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიანი მოცულობის ზრდის ტემპის დავალებანი.

რესპუბლიკის მშრომელებისადმი ჩვენი პარტიის ლენინური პარტიის — ცენტრალური კომიტეტის, მისი გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ზრუნვისა და ყურადღების დიდმნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა ის მაღალი შეფასება, რომელიც მიეცა პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის დაჩქარებაში საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის მიღწევებს.

სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის მსვლელობის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა: ყრილობის მუშაობის დამთავრების მესამე დღეს, 5 მარტს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძისათვის სამშობლოს მაღალი ჯილდოს გადაცემის დროს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა მის, როგორც ხელმძღვანელის მაღალ თვისებებს. „მან, — აღნიშნავდა იგი, — თავი გამოიჩინა, როგორც ქართველი კომუნისტების ნაცადმა ხელმძღვანელმა. ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, გაბედულება წამოჭრილი ამოცანათა გადაწყვეტისადმი მიდგომაში, ინიციატივა და ახლის გრძნობა, პრინციპულობა და პატიოსნება — აი ის თვისებები, რომლებმაც მას ავტორიტეტი შეუქმნა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ. საქართველოში საქმე კარგად მიდის და მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზმება ახალი წარმატებების მისაღწევად მეთერთმეტე ხუთწლედში“.

ეს ნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ნაცადი ხელმძღვანელის ე. ა. შევარდნაძის მოღვაწეობამ დაიმსახურა სამშობლოს, საბჭოთა ხალხის აღიარება. ამავე დროს ეს წოდება დიდი ამოცანების განხორციელებისათვის რესპუბლიკის მშრომელთა სახელოვანი და საგმირო საქმეების მაღალი შეფასებაცაა.

საქართველოს კომპარტიის უკანასკნელი წლების მოღვაწეობას, რესპუბლიკის მშრომელთა საგმირო საქმეებს მაღალი, შემაჯამებელი შეფასება მისცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის ისტორიულ გამოსვლაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თბილისში მიმდინარე წლის მაისის ბოლოს. მეგობრობისა და ძმობის ამ ისტორიულ ზეიმს „განსაკუთრებული ელფერი, განსაკუთრებული საზეიმო ხასიათი, და „ამავე დროს უაღრესად საქმიანი ხასიათი“ სწორედ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობამ და საზეიმო სხდომაზე მის მიერ წარმოთქმულმა მისალმების სიტყვამ მიანიჭა. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში განზოგადებულია რესპუბლიკის მშრომელებისა და მისი ავანგარდის — საქართველოს კომპარტიის შემოქმედებითი მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილებანი, განსაზღვრულია რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების ძირითადი ამოცანები, მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ურყევად ამაღლების პრობლემები.

საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობის ეს შეფასებაც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ეკუთვნის. დიდი ხანია ასეთი შეფასება არ მიუღიათ საქართველოს კომპარტიას და მის ხელმძღვანელობას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ქართველი ერის მიმართ უაღრესად გულწრფელი, თბილი და უაღრესად მზრუნველ გამონათქვამებთან ერთად შეიცავდა აგრეთვე ბევრ მნიშვნელოვან საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემურ საკითხზე სახელმძღვანელო პასუხებს. და, ცხადია, ყოველივე ამან, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს გარკვეული აზრით საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენის ელფერი მისცა.

□ □

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საიუბილეო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა თავისი სახელმძღვანელო მნიშვნელობით წარმოადგენს საქართველოს შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებების ორგანულ გაგრძელებას.

ძნელია, უფრო ზუსტად, თითქმის შეუძლებელია მოიძებნოს შესაფერისი სიტყვები, რომლებმაც მიახლოებით მაინც ასახოს ის დიდი აღფრთოვანება და უსაზღვრო კმაყოფილება, რომელიც გამოიწვია რესპუბლიკის მშრომელებში თავიანთ ეროვნულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობამ და მისმა სიტყვამ.

რაზე მიუთითებენ ყველაფერი ეს, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აღიარებული ლიდერის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩვენი რესპუბლიკის ასეთი მაღალი დაფასება? იმაზე და მხოლოდ იმაზე, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მთლიანად პარტია, იწონებენ და მაღალ შეფასებას აძლევენ საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის ყველა მხარეს, პარტიის დიადი წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობას.

**გრ. ჟვანია,**
პროფესორი.

**სურათზე:** გარეკანი კრებულისა „საქართველო — ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე“.

## საქართველო მასპინძლობდა...









**1966** ლ. ი. ბრეჟნევი ემშვიდობება თბილისის აეროპორტში შეკრებილ გამცილებლებს.

**1971** სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე ხატავს ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტს.

**1974** ლ. ი. ბრეჟნევი ნოვოროსიისკში ქართველ მცირემიწელებთან.

**1981** სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე მხურვალედ მიესალმება მთელი რესპუბლიკის სასურველ სტუმარს.

---

...ოვე ახალგაზრდობის წინაშე. ...თ უნდა დაიცვან მშვიდობა, გადაარჩინონ ცივილიზაცია, იზრუნონ გარემოსა და ბუნების ...აჯანსაღება-აღდგენისათვის, დაიცვან საკუთარი ადამიანური ღირსება და თავისუფლება, იბრძოლონ სოციალური და კულტურული პროგრესისათვის.

საჭირბოროტო პრობლემების ...რდის მხრივ ჩვენი ეპოქა გამონაკლისი არ უნდა იყოს. აქ ისტორიის ზოგად კანონზომიერებასთან უნდა გვქონდეს საქმე, კერძოდ, **სოციალური და კულტურული პროგრესის მუდმივ წინააღმდეგობრივ ბუნებასთან,** რომელიც, როგორც წესი, დიალექტიკური სპირალისა და უარყოფის უარყოფის სახეს იღებს. სწორედ ამ ზეაღმავალი კანონზომიერების გამოხატულებაა ხალხური სიბრძნე: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

ლ. ი. ბრეჟნევი სავსებით იზიარებს ამ სიბრძნეს და შემდეგნაირად ახასიათებს ახალგაზრდობას: **„დღეს მე მანუგეშებს ის აზრი, რომ რევოლუციის მებრძოლთა, პირველი ხუთწლედის მშენებელთა, სამამულო ომის მეომართა თაობებმა ღირსეული ცვლა გამოზარდეს. წინათ წარმოუდგენელი მასშტაბების ამოცანები ახლა შეგვიძლია კომკავშირს, საბჭოების ქვეყნის ყველა ახალგაზრდას დავავალოთ, და [illegible], რომ მათ ახასიათებთ ...რადი პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის, რაც კი ჩვენს მიწაზე ხდება, რომ ყოველ წამოწყებაში მათ შეაქვთ თავიანთი რომანტიკული სწრაფვა, და ვიტყოდი, ახალგაზრდული აღფრთოვანება. იზრდება ახალგაზრდობა, რომელსაც კომუნისტური რწმენა აქვს, რომელიც უაღრესად ერთგულია პარტიის საქმისა, დიდი ლენინის საქმისა, ოქტომბრის იდეალებისა.“**

ასეთი მორალურ-პოლიტიკური დახასიათება ჩვენმა ახალგაზრდობამ ყველა უბანზე საქმით უნდა გაამართლოს, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობით, სოციალური, პოლიტიკური და ორგანიზაციული აქტიურობით, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის [illegible] გამოვლენებთან უკომპრომისო ბრძოლით.

6. მოგონებების მეორე ნაწილი დასათაურებულია სიტყვებით **„სამშობლოს გრძნობა“.** აქ, უპირველეს ყოვლისა, ავტორი იძლევა სამშობლოს ცნების მეტად საგულისხმო და ტევად დახასიათებას: **„სამშობლოს გრძნობა ჩვენში ყველას ძალზე განვითარებული აქვს. მშვენიერი გრძნობაა! და ის, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ჩვენი მიწა-წყლის სილამაზის მზერით როდი საზრდოობს. მასში, როგორც იტყვიან, ფესვები უნდა გაიდგა, და როდესაც ადამიანი შრომის ოფლს აპკურებს მას, პურს მოიყვანს, შეუდგება ქალაქის შენებას, გაიყვანს ახალ გზას, ან სანგრებს გათხრის ამ მიწის დასაცავად, — აი მაშინ გაიგებს კარგად, თუ რას ნიშნავს სამშობლო“.**

უკეთესად, ალბათ, ძნელია თქვა იმ მთავარის შესახებ, რასაც მშობლიური მიწის სიყვარული ჰქვია. აქ ავტორის ცხოვრების გამოცდილებაა აკუმულირებული და სამშობლოს სიყვარულის ზოგადი ცნებაც არის არსებითი ნიშნებით მოხაზული.

სამშობლოს სიყვარულის ცნება ორგანულად უკავშირდება მისთვის გარჯისა და თავდადების გრძნობების აღზრდას, ყაირათიანობისა და მომჭირნეობის გრძნობების გამომუშავებას ბავშვობიდანვე. ავტორი საუბარს იწყებს მიწის მადლისა და შრომითი აღზრდის აუცილებლობით.

ხშირად გამოთქვამენ ცნობილ დებულებას, რომ შრომამ შექმნა ადამიანი, მაგრამ იშვიათად უფიქრდებიან იმას, რომ ამ დებულებაში არა მარტო ადამიანთა მოდგმის გენეზისზეა ლაპარაკი, არამედ ამავე დროს ყოველი კონკრეტული ადამიანის აღზრდისა და პიროვნებად ჩამოყალიბების მთავარ საშუალებაზე. შრომის გარეშე არ აღიზრდება ადამიანი და მოქალაქე. ამიტომ მოგვიწოდებს პარტია ზნეობრივი და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შერწყმაზე შრომით აღზრდასთან, მაგრამ, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, სანაღვლებელი ის არის, რომ ზოგჯერ თვითონ საქმე არსებითად ლოზუნგებს იქეთ არ მიდის. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ჯერ არ გასაგნებულა ეს მოთხოვნა ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების თანამედროვე ერთიან ოპტიმალურ სახელმწიფოებრივ სისტემად, საყოველთაო ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების შერწყმის მარქსისტული იდეალის კონკრეტულ პროგრამად.

სწორედ შრომითი აღზრდა ედება საფუძვლად სამშობლოს სიყვარულის გრძნობას. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, მიწა მშობლიური ხდება, როცა საკუთარი ოფლით მოირწყვება. მართლაც, რაიმეს სიყვარულს მისთვის ზრუნვა წარმოშობს და არა მისადმი მარტო მჭვრეტელობითი დამოკიდებულება, ან თუნდაც სიმპათია და მოწონება. პატრიოტიზმი ცარიელ ფრაზად რჩება, თუ იგი არ ეყრდნობა მშობლიურ მიწასთან სიახლოვეს, მისი ყოველი კუთხე-კუნჭულის გაცნობას და მათ მკვიდრთა თანაგრძნობას.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გენეზისის გაგებაშიც: **„სამშობლოს გრძნობა ყოველ ჩვენთაგანში ბავშვობის, საკუთარი სახლის, საკუთარი ქუჩის, ქალაქისა თუ სოფლის ხსოვნით იწყება და ამასთანავე ცოცხლობს ჩვენში დიდი, დიადი სამშობლოს გრძნობაც, რომელიც საშიროებისა და დიდი განსაცდელის ჟამს ანაზდად უაღრესად ახლობელი და ძვირფასი ხდება“.**

7. ახალგაზრდობის აღზრდისა და მოქალაქეებად მათი ფორმირების პრობლემას უკავშირდება მოგონებათა ავტორის მსჯელობა მაშინდელი კომკავშირის საქმიანობაზე: **„ჩვიდმეტი წლისა კომკავშირში მიმიღეს და ამის შემდეგ თავს ვალდებულად ვთვლიდი მონაწილეობა მიმეღო ყველა საზოგადოებრივ წამოწყებაში! ამგვარი წამოწყება კი, უნდა ითქვას, ბლომად იყო. ჩვენ გავდიოდით წითელ შაბათობებზე, ვატარებდით მასობრივ კამპანიებს „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა“! და „დახმარება უპატრონოებს“, ვხსნიდით სოფლებში ქოხ-სამკითხველოებს, ვუშვებდით კედლის გაზეთებს, ვდგამდით სპექტაკლებს, ვატარებდით სასოფლო ყრილობებს, ვუხსნიდით მოჯამაგირეებს თავიანთ უფლებებს, ყველაფერს ხელს ვკიდებდით, ყველგან საქმე გვქონდა“.**

მართალია, ამჟამად წერა-კითხვა ყველამ იცის, ხოლო მოჯამაგირეთა უფლებებზე ლაპარაკი საჭირო აღარ არის, მაგრამ ბევრი რამ, რაზედაც ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებს, ახლაც საჭიროა. ახალგაზრდობა რომ მონაწილეობს შრომით საქმიანობაში და საზოგადოებრივ დოვლათს ქმნის, ეს როდი ამოწურავს კომკავშირის საქმიანობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია სწორედ ის ინიციატივები, თაოსნობა და აქტიურობა, რომლებიც შრომისა და სწავლის შემდეგ ხორციელდება.

8. საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს ლ. ი. ბრეჟნევი პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის არსებისა და სპეციფიკის შესახებ. აქვე მოცემულია პარტიული მუშაობის ცნების საინტერესო დახასიათება, ჩამოთვლის რა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს, იგი დასძენს: **„რა ვიცოდი, მაშინ, რომ ყოველივე ეს, ერთად აღებული, ადამიანთა მასასთან მუდმივი ცოცხალი ურთიერთობის პირობებში გადაიქცეოდა გამოცდილების, ჩვევების, ცოდნის შენადნობად, იმ შენადნობად, რომელიც გამოითქმის ორი უბრალო სიტყვით: „პარტიული მუშაობა“.**

აქვე ავტორი გამოთქვამს მეტად საგულისხმო და მრავალმხრივ საინტერესო მოსაზრებას: **„გავიდა წლები, და მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რომ მე, ისევე როგორც ათასობით სხვა ადამიანს, ნამდვილად მამზადებდნენ, თანაც მამზადებდნენ სრულიად შეგნებულად, მომავალი დიდი საქმეებისათვის. ამ მომზადებას კომუნისტური პარტია ეწეოდა“.**

აქ, უპირველეს ყოვლისა, საქმე გვაქვს რეტროსპექტიული აზროვნების ისეთ ნიმუშთან, რომელშიც ნათლად აისახება შემთხვევითობისა და აუცილებლობის დიალექტიკა. მოვლენათა თავდაპირველ მსვლელობაში, როგორც წესი, შემთხვევითობათა თანამიმდევრულ მონაცვლეობას აქვს ადგილი. მართალია, ამ შემთხვევითობათა უკან სოციალურ სფეროში განვითარების ობიექტური კანონზომიერება იმალება, მაგრამ ამ კანონზომიერების გამოვლენა ცალსახა და ინვარიანტული არ არის. ასეთად იგი იქცევა ან გვეჩვენება მხოლოდ გვიან, როცა მოვლენათა თანმიმდევრულ ჯაჭვს ბოლო, ფინალური საფეხურიდან გავხედავთ, რეტროსპექტივაში ყოველი რგოლი და მთელი ჯაჭვი მკაცრი აუცილებლობის, კანონზომიერების და „სრულიად შეგნებული“ მიზანდასახულობის იერს იძენს.

ავტორი აქ უფრო მეტსაც ამბობს: მოვლენათა მთელი მსვლელობა და მონაცვლეობა თავიდანვე სრულიად გამიზნული, შეგნებული და გააზრებული იყო პარტიის მიერ. ესე იგი, შემთხვევითობად შეიძლება თვითონ პიროვნებას ეჩვენებოდეს საკუთარი ცხოვრების პერიპეტიები, სანამ მისთვის გაცნობიერებოდეს ის წარმმართველი ძალა, რომელიც განაგებს ამ პიროვნებისა და მთელი ხალხის ბედს.

თეორიის სფეროში აქ ჩვენ საქმე გვაქვს შემთხვევითობის გნოსეოლოგიური და ონტოლოგიური სტატუსის ერთიანობა-მიმართების საკითხთან. ადრე მიაჩნდათ, რომ შემთხვევითია მოვლენა, რომლის მიზეზი არ ვიცით (ან ჯერ არ ვიცით), თანამედროვე მეცნიერება კი თვლის, რომ შემთხვევითობა ისევე ობიექტურად არსებობს, როგორც აუცილებლობა. ცხოვრებამ მოითხოვა და მკაცრი დეტერმინიზმი შერბილდა შემთხვევითობისა და თავისუფლების ონტოლოგიური სტატუსით. დიალექტიკის ფარგლებში სავსებით თავსდება აზრი იმის შესახებ, რომ ის, რაც პერსპექტივაში წმინდა შემთხვევითობაა, რეტროსპექტივაში იქცევა აუცილებლობად და კანონზომიერად. მაგრამ აქ ღია რჩება საკითხი — მოჩვენებითია ეს აუცილებლობა თუ რეალური?

ლ. ი. ბრეჟნევის ზემოაღნიშნული მსჯელობა საინტერესოა არა მარტო თეორიის თვალსაზრისით; აქ ყურადღებას იქცევს პარტიის ტიტანური ორგანიზაციული მუშაობისა და მისი საკადრო პოლიტიკის ობიექტური, ადეკვატური შეფასება. პარტია აბსტრაქტული ცნება არ არის, იგი ცოცხალი ორგანიზმია, თანამოაზრეთა შეკავშირებისა და ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, რომელსაც აქვს სამოქმედო პროგრამა, წესდება, სტრატეგია და ტაქტიკა. პარტია წვრთნის თავის წევრებს პრაქტიკულ მუშაობაში, ზრდის კადრებს და გეგმაზომიერად წარმართავს მათ შერჩევა-განაწილებას თითოეული მათგანის უნარ-მონაცემების ოპტიმალური გამოყენების მიზნით. პარტიის ცალკეულმა ინსტანციებმა და ლიდერებმა წინასწარ, რა თქმა უნდა, არ იციან ვის სად გამოიყენებენ და ვინ სანამდე გაჰყვება პარტიული ან სახელმწიფოებრივი კარიერის საფეხურებს, მაგრამ მთლიანად პარტიამ, როგორც ზოგად-კონკრეტულმა სოციალურმა რეალობამ ყოველთვის იცის როგორი რეზერვი უნდა ჰყავდეს, რომ ყოველ საფეხურზე და ყოველ რგოლში მათი გამოყენება შეეძლოს.

პარტიის ნების ფორმირების, გამოხატვისა და რეალიზაციის ერთადერთი გონივრული საშუალებაა შინაპარტიული დემოკრატია. იგი, როგორც ცნობილია, მთელ რიგ სხვა მოთხოვნებთან ერთად გულისხმობს საკადრო პოლიტიკაში კანდიდატურათა თავისუფალ კოლეგიურ განხილვას და არჩევით ორგანოში ამომრჩეველთა ნების შეუზღუდველ გამოვლენას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად იქცა პარტიული ხელმძღვანელობის ნამდვილად დემოკრატიული ფორმების და მეთოდების თანამიმდევრულად დამკვიდრება და განვითარება. საქმე ის არის, რომ გაიზარდა მშრომელთა კოლექტივების როლი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში.

ახლა ცოტა მაგალითი როდია, როცა პარტიული ხელმძღვანელი წინაურდება სწორედ კოლექტივის წიაღიდან და მისი რეკომენდაციით. და არცთუ იშვიათი შემთხვევაა, რომ ასეთ ორგანოში, არჩევისას არაკომპეტენტური კანდიდატურა გაუშავებიათ. კონკრეტულ შემთხვევაში ეს არის სწორედ ამომრჩეველთა ნების შეუზღუდველი გამოვლინება.

9. განსაკუთრებული ყურადღებისა და აღნიშვნის ღირსია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოსაზრებები პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის შინაარსის, ამოცანებისა და სპეციფიკის შესახებ, რომელთა ირგვლივ ლაპარაკია მოგონებათა ბოლო, დასკვნით ნაწილში.

ლ. ი. ბრეჟნევი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იდეოლოგიური მუშაობის სპეციფიკაზე და მის განსხვავებაზე სამეურნეო და ორგანიზაციული საქმიანობისაგან: **„საშიშია თუნდაც დროებით, ცალკეულ უბნებზეც კი ვივიწყებდეთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების იდეურ საწყისს, ვურიგდებოდეთ იდეურ შეცდომებს. ისინი ერთი შეხედვით, არც ისე შესამჩნევია, როგორც, ვთქვათ, ტექნიკური შეცდომები. თუ რომელიმე აგრეგატი არასწორად არის დაპროექტებული, თუ იგი არ მოგვცემს საჭირო სიმძლავრეს, ან სულაც არ იმუშავებს — ეს ხელად გამოჩნდება და ზარალის გამოანგარიშებაც არც ისე ძნელია. ხოლო იდეოლოგიაში დაშვებული შეცდომა, როგორც წესი, არ ჩანს, შენიღბულია ლამაზ-ლამაზი სიტყვების სამოსით, მაგრამ მას მით უფრო შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი შედეგები, რამეთუ უსათუოდ იჩენს თავს და გიგანტურ ვნებასაც მოგვაყენებს დროულად თუ არ გამოვასწორეთ“.**

„იდეოლოგიაში დაშვებული შეცდომა, როგორც წესი, არ ჩანს“ — ლ. ი. ბრეჟნევი რომ ამბობს — აქ იგულისხმება ამ შეცდომის მავნე შედეგები. იგი არ ჩანს სწორედ იმიტომ, რომ ასეთი შედეგების დადგომას გარკვეული დრო ესაჭიროება. ხოლო როცა ასეთი შედეგი დადგება — იგი მაშინვე გამოჩნდება. თვითონ იდეური შეცდომა კი მაშინვე ჩანს, ოღონდ მის დანახვას სათანადო უნარი — თეორიული, მარქსისტული მომზადება უნდა და აგრეთვე ამ დანახვის სურვილი ანუ პარტიული, კლასობრივი სულისკვეთება.

**10.** „მოგონებების“ ამავე ნაწილში ლაპარაკობს ავტორი იდეოლოგიური მუშაობის მთავარი იარაღის შესახებ. ასეთად მას მიაჩნია სიმართლე, გულწრფელობა, პირდაპირობა. **„პარტიული მგზნებარე სიტყვა იყო და არის პარტიის ბასრი იარაღი, და ამას ფრიად სერიოზულად უნდა ვეკიდებოდეთ“.**

საბჭოთა ადამიანები იწონებენ პარტიის პოლიტიკას, მხარს უჭერენ მას. და მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველთვის ვუთმობდით და ვუთმობთ დიდ ყურადღებას იდეოლოგიურ მუშაობას. ამ მუშაობაში მთავარი იარაღი სიმართლეა, წარმატებაზეც და ხარვეზებზეც, ჩვენი აზრით, პატიოსნად უნდა ვილაპარაკოთ. ადამიანები ყოველთვის გაიგებენ წრფელ საუბარს. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ სოციალიზმის ძალა მასების შეგნებაა.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ რა აქტუალურია დღეს ჩვენთვის ასეთი შეგონება, სიტყვისა და საქმის ერთიანობის მოთხოვნა, ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ სამეურნეო-ეკონომიკურ დარგში წამატებებზე, დამახინჯებებზე, სიყალბეზე, ვააშკარავებთ ასეთ წამატებებს და პასუხისგებაში ვაძლევთ დამნაშავეებს. მაგრამ იშვიათად ვამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ წამატებანი, სიყალბე და დამახინჯებანი ზოგჯერ ხდება არა მარტო ეკონომიკაში, წარმოება-განაწილება-მოხმარებაში, არამედ, ასევე, იდეოლოგიაში, პოლიტიკასა და კულტურაში.

ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებათა“ დიდი იდეურ-აღმზრდელობითი დანიშნულება სწორედ ის არის, რომ იგი თავიდან ბოლომდე განმსჭვალულია პარტიის იდეური იარაღის სიწმინდის, მისი შეუბღალველობის სულისკვეთებით, სიმართლე და გულწრფელობა ერთადერთი სანდო ხიდია პარტიასა და ხალხს შორის; იდეურობა, პრინციპულობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა — ერთადერთი საიმედო იარაღია სიძნელეებთან ბრძოლაში; ხოლო ნაკლოვანებებთან შეურიგებლობა და ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ თავგამოდება ერთადერთი გზაა სოციალური და კულტურული პროგრესის უზრუნველყოფისათვის.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებათა“ ასეთი იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მხედველობაში ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს, როცა ეს წიგნი დაახასიათა როგორც **წიგნი დამრიგებელი, წიგნი — აღმზრდელი, წიგნი — ტრიბუნი** რომელიც მთლიანად მომავლისკენაა მიმართული და ეს არის მისი წარუვალი მნიშვნელობა.

**ბელა ბანძელაძე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გულწრფელი სტრიქონები

# მშვიდობის დიდი მედროშე, დაუღალავი მებრძოლი

**თანამედროვე ეპოქაში მილიონობით ადამიანი დედამიწის ყველა კუთხეში იმედით შეჰყურებს საბჭოთა კავშირს, რომელშიც ისინი ქვეყნად მტკიცე მშვიდობის, ომის საფრთხის თავიდან აცილების საიმედო გარანტს ხედავენ. ეს იმედი განუყრელად არის დაკავშირებული მშვიდობის დიდი ქომაგის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ტიტანურ მოღვაწეობასთან, მის დიდბუნებოვნებასთან, ძვირფას ადამიანურ თვისებებთან.**

**ამას მოწმობს თუნდაც ის გულწრფელი სტრიქონები, რომლებიც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელზე გამოგზავნეს დასავლეთ გერმანიის მოქალაქეებმა სულ ახლახან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მის ვიზიტთან დაკავშირებით, აგრეთვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადო და კულტურის მოღვაწეთა გამონათქვამები ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელის, ერთგული ლენინელისა და მშვიდობის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლის ლ. ი. ბრეჟნევის შესახებ.**

**ქვემოთ ვბეჭდავთ ზოგიერთ მათგანს.**

**ჩვენ** მადლობელი ვართ თქვენი დაუღალავი მოღვაწეობისათვის და მრავალმხრივი ინიციატივებისათვის, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება და განიარაღება. **გერტრუდ ლენერი,**

**ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების — ანტიფაშისტთა კავშირის ჰამბურგის ორგანიზაციის წევრების დავალებით.**

**გულით** მიხარია, რომ ლეონიდ ბრეჟნევი ჩვენთან ჩამოვა, უკვე დიდი ხანია თვალს ვადევნებ, როგორი თანამიმდევრობით იბრძვის მშვიდობისათვის ეს სახელმწიფო მოღვაწე მიუხედავად დასავლეთის მხრივ ხელშემშლელი პირობებისა.

**გერჰარდ მენინგენი,**
**ქ. კობლენცი.**

**ნება** მომეცით, გულით მოგესალმოთ ყველა მოქალაქის სახელით, ჩვენ მადლობელი ვართ თქვენი ვიზიტისათვის. მას დიდი მნიშვნელობა ექნება. იგი ჩვენ დიდ სიხარულსა და გულის სიმშვიდეს მოგვგვრის!

ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ თქვენს ქვეყანას და პირადად თქვენ.

**ჰილდეგარდ ელჰაუსი,**
**ქ. გიუნცბურგი.**

**მახარებს** თქვენი ვიზიტი, ვინაიდან თქვენში ვხედავ გულწრფელ და ბრძენ კაცს! აღსავსე ვარ თქვენი დიადი ქვეყნისადმი, თქვენი შრომისმოყვარე, გამრჯე ხალხისადმი სიმპათიითა და სიყვარულით.

თქვენს ვიზიტს მხოლოდ ტელევიზორების ეკრანებზე ვნახავთ. მე სიამოვნებით მოგართმევდით თაიგულს, მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმეა.

ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები და პირადად მე დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ყოფნა ყველასთვის სასიამოვნო იქნება ჩვენს ქვეყანაში და რომ იცოდეთ, ბევრი გამოგიწვდიდათ ხელს, ეს რომ შესაძლებელი იყოს!

**ერდმუტ პიოსიკი,**
**ქ. რეჰტენბახი.**

**თანამედროვეობის** ამ გამოჩენილი მოღვაწის, ლენინის დიადი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, უნიჭიერესი ორგანიზატორისა და მშვიდობისათვის თანამიმდევრული მებრძოლის ცხოვრების გზა განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სახელოვან ისტორიასთან.

ლ. ი. ბრეჟნევს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. როგორც ავღანელი ხალხის დიდმა მეგობარმა, მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული კავშირურთიერთობების განვითარებასა და განმტკიცებაში.

**აბდულა ხ. ბაჰთანი,**
**ავღანელი მწერალი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე.**

**ლ. ი. ბრეჟნევის** სახელი ძვირფასია არა მარტო საბჭოთა ადამიანებისათვის, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობისთვისაც. იგი განასახიერებს ფასდაუდებელ მხარდაჭერას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევდა და ახლაც უწევს ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის.

**ვაჰიბ თუნუსი,**
**სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი.**

**სწორედ** საბჭოთა კავშირსა და მის ხელმძღვანელს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ აი უკვე 36 წელიწადია, მსოფლიოს თავს არ დატეხია გლობალური სამხედრო კატასტროფა. ლ. ი. ბრეჟნევის წვლილი მით უფრო საგრძნობია, რომ მას მოღვაწეობა უხდება საერთაშორისო ვითარების გამწვავების უაღრესად რთულ და პასუხსაგებ პერიოდში. აი ამიტომ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები ნამდვილ გმირობად მიიჩნევენ მის დაუცხრომელ ბრძოლას მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის.

**ოლივერ ტამბო,**
**სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტი.**

**ლეონიდ** ბრეჟნევი ცოტას ლაპარაკობს თავის თავზე, ხოლო როცა იგი ამას შვრება, მხოლოდ იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას პარტიის მრავალმხრივი მუშაობის მნიშვნელობას. ეს ჩანს მისი გამონათქვამებიდან იმის თაობაზე, რომ საკითხების წრე, რომლებსაც პოლიტბიურო და თვითონ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, განიხილავენ, გაცილებით ფართოა, ვიდრე ის საკითხები, რომლებითაც დასავლელი ხელმძღვანელები არიან დაინტერესებული.

**ვიტო სანსონე,**
**იტალიელი პუბლიცისტი.**

**საბჭოთა** კავშირი და მისი კომუნისტური პარტია ლ. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით წინანდებურად ფრთას ასხამენ ოცნებას, ჰპდენ მშვიდობას ხალხისათვის. როგორც პურს არსობისას, ისე იცავენ შენს, ჩემს, მთელი მსოფლიოს ხვალინდელ დღეს. ჩვენ ყველას ძალას გვმატებს მათი საქმიანობა და არავის არ ძალუძს დაარღვიოს ჩვენი სოლიდარობა.

**ანტარ მბერი,**
**ამერიკელი ზანგი პოეტი.**

## სამახსოვრო ბლოკი

**სსრ კავშირის** კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის ტროპოსფერული კავშირგაბმულობის გახსნისადმი მიძღვნილი საფოსტო ბლოკი. ახალი სისტემა უზრუნველყოფს მეგობარი ქვეყნების საიმედო და ეფექტიან კავშირს.

ბლოკის მარკის ცენტრში გამოსახულია მოსკოვის კრემლის მაცხოვრის კოშკი და დელის რაშტრაპატი ბჰავანის სასახლის ცენტრალური ნაწილი. გვერდებზეა ახალი სისტემის ანტენური დანადგარები, რომელთა რადიოსხივები ჰინდუკუშის მწვერვალების თავზე კვეთენ ერთმანეთს. მარკის ცენტრში წარწერაა: „სსრ კავშირი-ინდოეთი. ტროპოსფერული კავშირგაბმულობის გახსნა 2. XI. 1981“. მარკის კუპონებზეა ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. განდის პორტრეტები, ბლოკის კიდეებზე — სსრ კავშირისა და ინდოეთის სახელმწიფო გერბები, აგრეთვე რუსულ და ჰინდი ენებზე მოყვანილია ნაწყვეტები ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. განდის წერილებისა, რომლებიც მათ ერთმანეთს გაუგზავნეს კავშირგაბმულობის ახალი სისტემის გახსნასთან დაკავშირებით. (საქდესის კორ.).

## შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან

**ახალციხე.** (საქ. კორ). [...]იონის მშრომელებმა სახელ[...]ფო თეატრში გულთბილი შეხ[...]რა მოუწყვეს ქალთა შორის [...]რაკში ორგზის მსოფლიო [...]პიონს მაია ჩიბურდანიძეს.

საღამო შესავალი სიტყ[...] გახსნა ახალციხის სახალხო [...] პუტატთა რაისაბჭოს აღმასკო[...] თავმჯდომარემ ე. ხითარიშვილ[...].

„ჭადრაკის დედოფალს“ [...]იონის ინტელიგენციისა და [...]ლგაზრდობის სახელით მიესა[...]ნენ ახალციხის სამუსიკო სკო[...] მასწავლებელი ტ. ახვლედია[...] საჭადრაკო კლუბის ხელმძღვა[...]ლი ვ. დათებაშვილი, სხვილისის [...] შუალო სკოლის დირექტორი ლ. [...] თევზოსიანი, საქსოვი ფაბრიკის [...]რექტორი ვ. მარსაგიშვილი, ქო[...]ოგრაფი ვ. კვინცხაძე, მოსწავლ[...]ები ქ. გოგიძე, ვ. ზაქროშვ[...] და სხვები.

რაიონის შრომითი კოლექ[...]ვების წარმომადგენლებმა სა[...]ხსოვრო საჩუქრები გადა[...] მსოფლიო ჩემპიონს.

მაია ჩიბურდანიძემ დიდი [...]დლობა გადაუხადა რაიო[...] მშრომელებს გულთბილი შეხ[...]დრისათვის. დასასრულ მსოფ[...] ჩემპიონმა ახალციხელ მოჭად[...]კეებთან ჩაატარა ერთდრო[...] თამაშის სეანსი 17 დაფაზე, [...]მელიც ორგზის მსოფლიო ჩემ[...]ონის გამარჯვებით (16:1) დამ[...]ვრდა.

**შ. მაისურაძე.**

## ფოტოგამოფენა მოგვითხრობს

**კომუნისტური** პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრებასა და საქმიანობას ასახავს ფოტოგამოფენა, რომელიც გაიხსნა თბილისში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს შენობასთან. ერთგული ლენინელის, მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის მგზნებარე მებრძოლის დაბადების 75 წლის თავისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია შეიცავს რესპუბლიკის კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის 70-ზე მეტ ფოტოდოკუმენტს.

დიდ ინტერესს იწვევს ომის წლების სურათები, რომლებზეც ლეონიდ ილიას ძე აღბეჭდილია მე-18 არმიის მეომართა შორის. ერთ-ერთ ფოტოსურათზე, რომელიც გადაღებულია 1943 წელს, როცა ყირიმში ფრონტელებს ეწვია საქართველოდან ჩასული მხატვრული ბრიგადა, ამხანაგი ლ. ბრეჟნევი აღბეჭდილია ქ. ლესელიძესთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტ ა. ხორავასთან და პოეტ გ. ლეონიძესთან ერთად.

ექსპოზიციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფოტოებს, რომლებზეც ასახულია სხვადასხვა წლებში ლ. ი. ბრეჟნევის ყოფნა საქართველოში. (საქინფორმი).



**სურათებზე:** ფილმ „ოთხი დაუვიწყარი დღის“ კადრები.

# ეს ზეიმია საქართველოსი

**ხომ** მართალია: წლევანდელ ქართულ ვარდობისთვეს მაინც სულ სხვა ეშხი და სილამაზე ჰქონდა. აბა, გავიხსენოთ, რა ზეიმი გადაიხადა სამოცი წლის საბჭოთა საქართველომ. თითქოს უფრო გადიადდა, გაიშალა, გაფართოვდა და მაისის ის ოთხი დღე მართლაც დაუვიწყარი გახადა ყველასათვის — მოყვარე და მოძმე გაახარა, მტრისა და ავთვალის გულიც კი მოინადირა...

...გუშინ თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველში“ ახალი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პრემიერა გაიმართა. ფილმს „ოთხი დაუვიწყარი დღე“ ჰქვია და გვიცოცხლებს იმ დღეებს, 21-24 მაისის ზეიმსა და ქართულ სტუმარ-მასპინძლობას.

...უკეთესი უვერტიურა არც შეიძლებოდა მოეძებნათ ფილმის ავტორებს (სცენარის ავტორები — ა. იმედაშვილი და შ. შონია, დამდგმელი რეჟისორი — შ. შონია):

...1981 წლის თებერვალი, კრემლის ყრილობათა სასახლე, სკკპ XXVI ყრილობის ტრიბუნიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე სამოცი წლის საბჭოთა საქართველოს იუბილეზე ეპატიჟება ყრილობის მონაწილეებს, ეპატიჟება, უპირველესად, ჩვენი პარტიის აღიარებულ ლიდერს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

...და აი, ვარდობისთვეც. კავკასიონის ჭაღარა მწვერვალებიდან დაწყებული, კინოკამერა წუთიერად მთელ საქართველოს მოგვატარებს. „მთა რომ იმღერებს, ტყე რომ იმღერებს, ეს სიმღერაა საქართველოსი“... — გალაკტიონის ლექსზე შექმნილი თამარ გვერდწითელის სიმღერა და მშვენიერი ხმა მიჰყვება ამ ხედებს. ხელგაშლილია, გულგაშლილია საქართველოს კუთხე-კუნჭული, სტუმრებს ელოდება „სტუმართმოყვარე ყველა ქართველი“.

**ინტერვიუ ფილმის რეჟისორ შერგილ შონიასთან:**

— რა გამოცდა არ გამოუვლია საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიას, მაგრამ ეს სულ სხვა იყო — ფირზე უნდა აღგვებეჭდა სამოცი წლის მოზეიმე საბჭოთა რესპუბლიკა, ამიტომ გადაწყდა, დოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორების გარდა, დღესასწაულის დღეებში ჩვენთან ერთად ემუშავათ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რჩეულ ოპერატორებსაც. ისინი ბევრნი იყვნენ, მარტო საზეიმო დემონსტრაციას კონსტიტუციის მოედანზე 16 ოპერატორი იღებდა. დამდგმელი ოპერატორები კი არიან ი. ბარამიძე, ი. ფილიაშვილი და გ. როგავა, მკითხველისათვის შეიძლება საინტერესო იყოს: შვიდნაწილიანი ფილმის გადაღებაზე 25 კილომეტრი ფირი დაიხარჯა.

**...ყველაფერი** თბილისის აეროპორტიდან იწყება. ძველი ქართული სიმღერისა არ იყოს, „მასპინძელსა მხიარულსა, ჰყავს სტუმარი სასურველი“... რატომ არ უნდა გვემღერებოდეს. საბჭოთა საქართველოს ეს სამოცი წელი ხომ ასწლეულებს უტოლდება, რა სიმაღლეებს მიაღწია ამ ხნის მანძილზე ქართველი კაცის შემოქმედებითმა გენიამ!

...მოპატიჟებულს დახვედრა უნდა... საჰაერო ლაინერებს ერთი-მეორის მიყოლებით ჩამოჰყავთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და ქალაქების თავკაცები, მოწინავენი... რა შეხვედრები, რა ღიმილი!.. ამ დღეებში სწორედ ქართულ მიწაზეა თავმოყრილი და შედუღაბებული „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“. ამ შეხვედრებს, ყველაზე საპატიო სტუმართან ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან შეხვედრა აგვირგვინებს.

დიდია ექსპრესია. ფილმის ავტორებმა შეძლეს არა ყალბი პათეტიკურობით, არამედ მაღალოსტატურად, საზეიმო ელფერით, უნაკლოდ გადმოეცათ ქართულ მიწაზე ჩამობრძანება ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურისა.

ეს კადრები მთელმა საბჭოეთმა ნახა 21 მაისს: ისევ ერუანტელის მომგვრელია ჩვენი საამაყო მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის მისალმება და თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევა რესპუბლიკის უძვირფასესი სტუმრისა, შემდეგ ძველი თბილისი მიესალმება ლეონიდ ილიას ძეს, აფერადებულა, აღიმილებულა აივნიანი სახლები... პირველად არ მიესალმება რესპუბლიკის დედაქალაქი ქართველი ხალხის მოყვარულსა და დამფასებელს, ადამიანს, რომელიც ამ საზეიმო დღეებში საქართველოზე იტყვის:

„...ყველგან იციან: საქართველო — ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურკაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას“.

მანამდე კი დიდი ლენინის ძეგლს გვირგვინით შეამკობს საპატიო სტუმარი, დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს გაეცნობა, დიდების მემორიალს გახსნის გამარჯვების პარკში და მუხლს მოიდრეკს უცნობი ჯარისკაცის საფლავის წინაშე როგორც ღირსეული მებრძოლი დიდი სამამულო ომისა, სახელოვანი მე-18 არმიისა.

22 მაისი. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს სამოცი წლის თავისადმი. სწორედ ამ სხდომაზე მისცა ზემოაღნიშნული დიდი შეფასება საქართველოსა და მის გამრჯე ადამიანებს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. ოღონდ, მამაშვილურადაც დაარიგა.

ფილმი „ოთხი დაუვიწყარი დღე“ გვხიბლავს სხარტი რეჟისორული მიგნებებით, შესანიშნავი კადრებით, მუსიკის შერჩევით. უდავოა, საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდიაში მართლაც საინტერესო ფილმი შეიქმნა. ოღონდ მაინც რჩება მცირე უკმარისობის გრძნობა: რატომ არ შეიძლებოდა, თუნდაც, ცოცხალი ადამიანების, რესპუბლიკის სხვადასხვა მშრომელის შეყვანა ფილმში, ინტერვიუები, მათი აზრები საბჭოთა საქართველოს ამ უდიდეს მოვლენაზე და ა. შ.

გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს 23 მაისს კონსტიტუციის მოედანზე გამართული ზეიმი, სადაც სრულიად საქართველო გამოვიდა. როგორ დღესასწაულობდა ჩვენთან ერთად ბევრი ჩამოსული სტუმარი... თითქოს კიდევ უფრო შეიკრა და შედუღაბდა საბჭოეთის ხალხთა ძმობა და ერთიანობა.

24 მაისი. გაცილება თბილისის აეროპორტში, ჩვენი სახელმწიფოს მეთაური გულითადად ემშვიდობება დიდ-პატარას, მაყურებელთა დარბაზს კი ეფინება მისი სიტყვები: „აბა რა გისურვოთ სამერმისოდ? იმოქმედეთ უფრო თამამად, იმუშავეთ კიდევ უფრო შეუპოვრად, კვლავაც აამაღლეთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი. საბჭოთა ადამიანებს სჯერათ, რომ თქვენი მზიური რესპუბლიკა კიდევ არაერთგზის გაახარებს სამშობლოს ახალი შრომითი გამარჯვებებით“.

ეს სიტყვები უკვე სამოქმედო პროგრამაა მთელი საქართველოს მშრომელებისათვის.

**ვ. მარდალეიშვილი.**

## ეკრანზეა დოკუმენტური ფილმი „ოთხი დაუვიწყარი დღე“

## გზა მშვიდობისა!

**ახალი** წლის დღესასწაულ[...] დაკავშირებით ამიერკავკასი[...]რკინიგზის სამმართველომ გა[...]ვალისწინა მშრომელთა სურ[...]ლები და დანიშნა მთელი რი[...] დამატებითი სამგზავრო მატარ[...]ლები. როგორც საქინფორმის კ[...]რესპონდენტს აცნობა მაგისტ[...]ლის სამგზავრო სამსახურის უ[...]როსის მოადგილემ ვ. სვანიძ[...] მუდმივად მოქმედი შემადგენლ[...]ბების გარდა, დანიშნულია, მ[...]ლითად, დამატებითი მატარე[...]ლი თბილის-მოსკოვი. იგი თბ[...]ლისიდან გავა 24, 26, 28 და [...] დეკემბერს, აგრეთვე 1982 წ[...] 2, 4, 6, 8 და 10 იანვარს მო[...]ვის დროით 22 საათზე.

დამატებითი მატარებელი ე[...]ვან-მოსკოვი შედგენის სადგურ[...]დან გადის 27 დეკემბერს, 3 და [...] იანვარს. მატარებელი № 50 ს[...]ხუმ-მოსკოვის 24 დეკემბრიდ[...] 10 იანვრამდე ყოველდღიურ[...] გავა 14 საათზე, ხოლო მატარ[...]ბელი № 386 სოხუმ-მოსკოვი [...] 24, 25 დეკემბერს და 7, 8 ია[...]ვარს დილის ხუთ საათსა და [...] წუთზე.

თითო რეისს განახორციელ[...]ბენ დამატებითი მატარებლ[...] თბილის-ქუთაისი, თბილის-მახარ[...]ძე და თბილის-ფოთი.

დღესასწაულის დღეებში ივ[...]ან აგრეთვე დამატებითი მატარ[...]ბლები მოსკოვ-თბილისი, მო[...]კოვ-ერევანი, მოსკოვ-სოხუმ[...] ქუთაის-თბილისი, მახარაძე-თბ[...]ლისი, ფოთ-თბილისი და სხვ[...].

გათვალისწინებულია აგრე[...] ქვეყნის ყველაზე პრივილეგი[...]ბული კლასის —ბავშვების ინტ[...]რესები, 29 დეკემბერსა და 4, [...] იანვარს ისინი სოხუმიდან შორ[...]ული მიმოსვლის მატარებლ[...] გაემგზავრებიან ხარკოვში, ხოლ[...] 28 დეკემბერს, 3 და 9 იანვა[...] უკრაინიდან ჩვენთან ჩამოვლ[...] მოძმე რესპუბლიკის სათბობ[...] მომპოვებელთა და სოფლ[...] მშრომელთა შვილები. ექსკურს[...]ნტები ეწვევიან უკრაინისა [...] საქართველოს სამრეწველო [...] კულტურულ ცენტრებს, მონაწ[...]ლეობას მიიღებენ საახალწ[...] დღესასწაულში. (საქინფორმი).

## ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

# მდგომარეობა პოლონეთში

**ვარშავა.** აქ გამოაქვეყნეს ეროვნული ხსნის სამხედრო საბჭოს განცხადება. განცხადებაში ნათქვამია, რომ სამხედრო საბჭოს შექმნა, მკაცრი შეზღუდვები, რომლებიც სამხედრო წესებიდან გამომდინარეობს, იყო და არის საჭირო იმიტომ, რომ პოლონეთში სოციალისტური განახლების პროცესი დაარღვიეს სახელმწიფოში სოციალიზმისა და ვითარების სტაბილიზაციის მოწინააღმდეგე ძალებმა. ეს ძალები ცდილობდნენ გამოეყენებინათ საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია არსებული წყობილების შესუსტებისა და დამხობისათვის, ანტისახელმწიფოებრივი, კონტრრევოლუციური გადატრიალებისათვის, ასეთი მიზნების განხორციელება, აღნიშნულია განცხადებაში, გამოიწვევდა ძმათამკვლელ ომს პოლონეთში. არის მრავალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ უკანასკნელი კვირების მანძილზე კონტრრევოლუციურმა ძალებმა მიმართეს კონკრეტულ მოქმედებას ამ მიმართულებით. საბჭომ განაცხადა, რომ წესრიგისა და კანონიერების უზრუნველმყოფი პირობების შექმნის შემდეგ გაგრძელდება წინათ დაწყებული რეფორმები, მათ შორის ეკონომიკური რეფორმაც. მაგრამ ეკონომიკური რეფორმის შემოღება გულისხმობს მაღალ ორგანიზებულობასა და წესრიგს ქვეყანაში, სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტიან ფუნქციონირებას.

პოლონეთის რადიო იუწყება, რომ „სოლიდარობის“ ცენტრალურ და რეგიონალურ გამგეობებში კონფისკებულ მასალათა შორის არის დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ „სოლიდარობის“ ლიდერებს, კორელებსა და „კონფედერატებს“ შეუქმნიათ კონტრრევოლუციის ერთიანი ფრონტი. ვარაუდობდნენ, რომ ეს ფრონტი 1982 წლის იანვრის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდებოდა ახალ პოლიტიკურ პარტიად. დეკემბრის დამლევსა და იანვრის დამდეგს დასახული ჰქონდათ მასობრივი დემონსტრაციების მოწყობა, რომელთა დროს აპირებდნენ ხელში ჩაეგდოთ რადიო და ტელევიზია, დაეპყროთ სხვა სახელმწიფო დაწესებულებების შენობები, წაერთმიათ მთავრობისათვის რეალური ხელისუფლება. „სოლიდარობამ“ შეიმუშავა ინსტრუქცია საგანგებო წესების შემოღების შემთხვევისათვის. ინსტრუქციაში გათვალისწინებული იყო ხელისუფლებისათვის ბრძოლის სამი ეტაპი: პირველ ეტაპზე — პროპაგანდისტული და დივერსიულ-ტერორისტული ღონისძიებანი; მეორე ეტაპზე — „პარტიზანული ომი“; მესამე ეტაპზე — „საყოველთაო აჯანყება“ და „რეგულარული საომარი მოქმედების დაწყება“. ჟურნალისტებთან მორიგ შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პოლონეთის მშრომელთა ფართო წრეები გაგებით მოეკიდნენ და მხარი დაუჭირეს სამხედრო წესების შესახებ დეკრეტის აბსოლუტური დაცვის აუცილებლობას. პოლონეთის ბევრი რაიონიდან მოდის დეკლარაციები ეროვნული ხსნის სამოქალაქო კომიტეტების შექმნის შესახებ, რომლებშიც იწონებენ და მხარს უჭერენ სამხედრო საბჭოსა და მის მოქმედებას.

გამოაცხადეს, რომ მთლიანად ვითარება ქვეყანაში სწორდება. მაგრამ რჩება საშიში კერები, სადაც „სოლიდარობის“ ლიდერები, რომელთა ინტერნირება ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ, ცდილობენ თავს მოახვიონ ძალის კონფრონტაცია. პროვოკაციული მოქმედების გააქტიურებას უკავშირებდნენ 17 დეკემბერს. ამ დღეს „სოლიდარობა“ რადომსა და გდანსკში აპირებდა კონტრრევოლუციის აშკარა გამოსვლას.

16 დეკემბერს ღამით „სოლიდარობის“ ექსტრემისტებმა გდანსკში პროვოკაციულად მოაწყვეს ხულიგანთა ჯგუფების ალვირახსნილი მოქმედება. საზოგადოებრივი წესრიგის ძალებმა, რომლებშიც სამხედრო წესების შესახებ დეკრეტის შესაბამისად მოქმედებდნენ, გაფანტეს ეს ხულიგანთა ჯგუფები.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, „სოლიდარობის“ მთელი რიგი განყოფილებების, კერძოდ სლუპსკისა და პოზნანის სავოევოდოების განყოფილებათა ხელმძღვანელებმა პროფკავშირის წევრებს მოუწოდეს არ დაუშვან მოქმედება, რომელიც არღვევს დეკრეტს სამხედრო წესების შესახებ.

ვარშავასა და პოლონეთის სხვა ქალაქებში გამოჩნდნენ თეთრ-წითელ სამკლაურიანი სამოქალაქო პატრულები. სამკლაურებზე წარწერილია სამი ასო — პსრ (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა.) ეს არის ნებაყოფლობითი პატრიოტული წამოწყება მშრომელებისა, რომლებიც მხარს უჭერენ კონტრრევოლუციის ძალებთან ბრძოლისათვის სამხედრო საბჭოს ღონისძიებებს. პოლონეთის რადიო და ტელევიზია, პრესის ორგანოები იუწყებიან ქვეყნის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებების შესახებ, რომლებშიც გამოთქმულია რწმენა, რომ პოლონეთის ჯარი, საზოგადოებრივი წესრიგის ორგანოები კვლავაც მტკიცედ იმოქმედებენ ქვეყანაში სიმშვიდის, წესრიგის უზრუნველყოფისა და ცხოვრების ნორმალური რიტმის აღდგენის მიზნით.

● ბელგია

## შეიქმნა ახალი მთავრობა

**ბრიუსელი. შეიქმნა ბელგიის ახალი მთავრობა, რომელსაც ქრისტიანული სახალხო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ვ. მარტენსი მეთაურობს.** საგარეო ურთიერთობათა მინისტრის პოსტი დაიკავა ლ. ტინდემანსმა. ეკონომიკის მინისტრი გახდა მ. ეისკენსი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი — ფ. ვრევენი.

მთავრობაში შევიდნენ სოციალურ-ქრისტიანული პარტიის, ქრისტიანული სახალხო პარტიის, თავისუფლებისა და პროგრესის პარტიის, აგრეთვე რეფორმისტული ლიბერალური პარტიის წარმომადგენლები.

ახალი კოალიციის შექმნა, აღნიშნავს პრესა, მოწმობს ბელგიის პოლიტიკური ცხოვრების მარჯვნივ გადახრას. მაგალითად, ახალი მთავრობა აპირებს პარლამენტს მოსთხოვოს, რომ მას მიანიჭოს 12 თვით „სპეციალური უფლებამოსილებანი“ მკაცრი საშინაო პოლიტიკის განსახორციელებლად.

ვ. მარტენსის კაბინეტმა 17 დეკემბერს ფიცი დადო.

## ფოტოობიექტივი ამხილებს




**საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ**

**18 დეკემბერი**

## მოლაპარაკება ჟენევაში

**ჟენევა.** აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა მორიგი პლენარული სხდომა.

მომდევნო სხდომა 12 იანვარს გაიმართება.

● გფრ

**„სკოლის მოსწავლეებს მასწავლებლები სჭირდებათ, მასწავლებლებს კი — სამუშაო!“ — ასეთი ლოზუნგი იყო წარწერილი ჰამბურგში გამართული დემონსტრაციის ახალგაზრდა მონაწილეთა ტრანსპარანტზე. ამ მოთხოვნით ჩაიარეს დასავლეთ გერმანიის უდიდესი ქალაქის ქუჩებში უმუშევარმა პედაგოგებმა. მათ საზოგადოებრიობის ყურადღება გაამახვილეს იმ სერიოზულ კრიზისზე, რომელსაც ქვეყნის განათლების სისტემა განიცდის. დასავლეთგერმანელ მასწავლებელთა შორის მასობრივი უმუშევრობის მიზეზია უზარმაზარი სამხედრო ხარჯები და საბიუჯეტო ასიგნებათა „ეკონომია“ განათლების სფეროში.**

**სურათზე:** დასავლეთგერმანელი მასწავლებლების დემონსტრაცია ჰამბურგში.

**საქდესის ფოტო.**

# საქდესის განცხადება

**თელ-ავივმა** მიიღო გადაწყვეტილება ისრაელის კანონების მოქმედება გაავრცელოს სირიის კუთვნილ გოლანის მაღლობებზე, რომლებიც ისრაელმა დაიპყრო 1967 წელს.

ამასთან დაკავშირებით საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებს აღნიშნული გადაწყვეტილება მიაჩნიათ სირიის ოდინდელი ტერიტორიის ანექსიის ცდად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის მოწესრიგების თაობაზე უშიშროების საბჭოს ცნობილი რეზოლუციების უხეშ დარღვევად. არაბების და უშუალოდ სუვერენული სირიის არაბთა რესპუბლიკის მიმართ ეს პროვოკაციული, მტრული აქცია, რომელსაც ისრაელმა მიმართა, კიდევ უფრო საშიშად ამწვავებს ახლო აღმოსავლეთის ვითარებას.

ისრაელის ახალი აგრესიული აქტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ კურსთან, და კემპ-დევიდის ანტიარაბული შეთქმულებისა და სეპარატული გარიგებების პოლიტიკის პირდაპირი შედეგია. ეს ამერიკა-ისრაელის „სტრატეგიული თანამშრომლობის“ კონკრეტული გამოვლინება, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ინტერესებისა და ისრაელის ექსპანსიონისტური ამბიციების შერწყმის შედეგია.

ისევე როგორც სხვა აგრესიული მოქმედება, რომელსაც უკანასკნელ ხანს მიმართავს ისრაელი, გოლანის მაღლობების ანექსიის ცდა ნიშნავს, რომ თელავივი ყოველნაირად უშლის ხელს ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის მშვიდობიან მოწესრიგებას, თუმცა ამ გზას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, უწინარეს ყოვლისა, თვით ისრაელისა და მისი ხალხისათვის.

ისრაელის მოქმედება მთელი სიმწვავით სვამს საკითხს, რომ საჭიროა გონს მოიყვანონ აგრესორი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მის უშიშროების საბჭოს, რომელსაც საამისო უფლებამოსილებანი აქვს, შეუძლია და ვალდებულიც არის მტკიცედ გადაუღობოს გზა ისრაელის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას.

რაგინდ ცდილობდეს ისრაელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიების შემომტკიცებას, ეს უპერსპექტივო საქმეა. ვერავინ ვერ წაართმევს არაბ ხალხებს ხელშეუვალ სუვერენულ უფლებებს. დრო მოვა და ისტორია თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ამ საკითხში.

საბჭოთა კავშირი გადაჭრით გმობს ისრაელის პრეტენზიებს სხვისი მიწების მიმართ და სოლიდარობას უცხადებს სირიელ და სხვა არაბ ხალხებს. იგი კვლავაც დაუჭერს მხარს მათ სამართლიან საქმეს, ეცდება მიაღწიოს ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის ყოვლისმომცველ მოწესრიგებასა და სამართლიან მშვიდობას.

● იტალია

## ტერორისტთა მორიგი დანაშაული

**რომი. მორიგი დანაშაული ჩაიდინეს იტალიაში იატაკქვეშა დაჯგუფების „წითელი ბრიგადების“ ტერორისტებმა. ქალაქ ვერონაში მათ მოიტაცეს ევროპის სამხრეთ ზონაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გენერალი ჯ. დოუზიერი.**

იუწყებიან, რომ ოთხი შეიარაღებული ტერორისტი ბინაზე მიუხტა გენერალს, როცა ამერიკის სამხედრო ბაზიდან დაბრუნებულმა დაცვა გაუშვა. თავდასხმისას ატყდა სროლა. პოლიციის ცნობით, იუწყებიან უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები, გენერალი დაჭრეს. დამნაშავეებმა თავისი მსხვერპლი ძალით კონტეინერში შეათრიეს, მანქანაზე დადეს და მიიმალნენ.

იტალიის დედაქალაქში გაიმართა ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჯ. სპადოლინის სასწრაფო თათბირი საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებთან, საიდუმლო სამსახურების ხელმძღვანელებთან. გადამჭრელი ღონისძიებანი ხორციელდება დამნაშავეთა შესაპყრობად, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

## ტელევიზია

**19 დეკემბერი**

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.50 — დილის ვარჯიში (მ.), 10.10 — „მოამბე“, 10.40 — შევისწავლოთ ქართული ენა, 11.10 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 11.15 — „ხალხური შემოქმედება“ — კონცერტი, 12.05 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 12.10 — „ჩვენი სოფელი“ — სასურსათო პროგრამის კურსით“, 13.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 13 30 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 13.35 — „კინოაფიშა“, 14.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლენინური გზით“ (მ), 15.05 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 15.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.55 — ქართული პოეზიის საღამო მოსკოვში, 17.35 — უფროსკლასელთათვის — მღერის „დრუჟბა“, 17.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 18.00 — კამერული მუსიკის კონცერტი, 18.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ოთხი დაუვიწყარი დღე“ (პრემიერა), 19.30 — „კომუნისტები“ — პოეტური კომპოზიცია საბჭოთა პოეტების ლექსების მიხედვით (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა ოქტომბერზე და მშვიდობაზე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.45 — მხატვრული ფილმი „მიწიერი სიყვარული“.

## თეატრი

**19 დეკემბერი**

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური—სევილიელი **დალაქი** (მე-19 აბონ. მეოთხე წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რიჩარდ მესამე;** მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ალსარება;** თბილისის სახელმწიფო დრამატული — **ოპტიმისტური ტრაგედია;** მეტეხის თეატრი — **განკითხვის დღე;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ძუნწი;** მინიატიურების სახელმწიფო — **ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 14787 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. ცხელდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქაღალდი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20